ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 3 მარტი, 2022 №44 (8822) ფასი: 60 თეთრი

საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განაცხადს დღეს ოფიციალურად წარადგენს

„პრეზიდენტი ზურაბიშვილი ღარიბაშვილს არასდროს დაემსგავსება“

თინა ხიდაშელი: „2020 წელს ჩვენ თვითონ გამოვიწვიეთ უკრაინიდან საქართველოს ელჩი და ჩვენც განვახორციელეთ ანალოგიური ქმედება“

„რუსთაველის აქციებმა მსოფლიოს დაანახა, რომ აქ სახელმწიფო სუნთქავს, ფეთქავს და თავისუფლებისთვის იბრძვის“

დავით ბერძენიშვილი: „თუ პუტინი ცოცხალი გადარჩა, ტრიბუნალის წინაშე წარდგება“

„ქართულ ოცნებაში“ ჰგონიათ, რომ პუტინი მოიგებს ამ ომს და დასავლეთს დაამარცხებს“

„მოხალისეებს რომ არ ვუშვებთ, რატომ ეწყინა ზელენსკისო, საწყენი იყო და იმიტომ“

„საქართველოს არჩევანი გარკვეულია. ვიბრძვით დასავლური კურსისთვის“

ვახტანგ ძაბირაძე: „იუნკრების საფლავზე რუსეთს კოჭი გაუგორო, წარმოუდგენელია“

ევროპა რუსულ გაზზე უარისთვის ემზადება



ახლანდელ ანტირუსულ სანქციებს კრემლისა და მისი ქვეშევრდომებისათვის მძიმე შედეგი მოაქვს

ეკა გიგაური: „ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობა უნდა დატოვოს“

ცხინვალში ხელფასებს ვერ არიგებენ

ISSN 1987-9385

2 გია ვოლსკი: „კონსპირაციას არ გამოვრიცხავ“

6 კრემლს უკრაინის პრეზიდენტად იანუკოვიჩის გამოცხადება უნდა

5 ქუთაისის მერიას მამაკაცმა მინები ჩაუმსხვრია

6 უკრაინის ევროკავშირში სწრაფ განევრიანებას ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა

„ქართულ ოცნებაში“ ჰგონიათ, რომ პუტინი მოიგებს ამ ომს და დასავლეთს დაამარცხებს“

დავით ბერძენიშვილი: „თუ პუტინი ცოცხალი გადარჩა, ტრიბუნალის წინაშე წარდგება“

იაგო ნაცვლიშვილი

რას ნიშნავს „ქართული ოცნების“ პოლიტიკა? საით მიაქანებს ქვეყანას? რამდენად შეინარჩუნებს დასავლეთი პრინციპულობას? და მართლაც ხომ არ იყო ომში ჩართვის საფრთხე? — ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი საუბრობს.

– ვხედავთ „ქართული ოცნების“ პოლიტიკას, რამაც გამოიწვია უკრაინის ელჩის დროებით გაწვევა. საით მიგვაქანებს „ოცნება“?

– არსადაც არ მიგვაქანებს „ქართული ოცნება“, საქართველოს ვერ ჩააბარებს რუსეთს, რომელიც ამ ომს წააგებს, მით უმეტეს, წაგებულ რუსეთს ვერ ჩააბარებს. უბრალოდ, ეგ არის, რომ ჩვენ და უკრაინა ვართ წყვილში და ამ წყვილში კარგა ხნის მანძილზე ჩვენ წინ ვიყავით. საქართველო-უკრაინა უფრო ჩანდა, ვიდრე უკრაინა-საქართველო. ვიზალიბერალიზებული საქართველო უფრო ადრე გახდა, ვიდრე უკრაინა.

გასაგებია, რომ ახლა სწორედ უკრაინაზე გადის ცივილიზაციის წარმატება-წარუმატებლობა. ძალიან კარგია, რომ მთელი მსოფლიო აღშფოთდა და ეს დაგროვილი, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ცივი ომის შემდგომ პერიოდში ხელ-ფეხ გახსნილი იყო რუსეთი. პუტინი 20 წელზე მეტია, რაც ქვეყანას მართავს და 2008 წლის ომიც იყო და მანამდე ქართველების გამოყრა იყო რუსეთიდან. 1990-იან წლებშიც მიგდებულები ვიყავით – დნესტრისპირეთში მოლდოველები და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართველები.

ასე რომ, დასავლეთის პასუხისმგებლობა საკმაოა და კარგია, რომ ერთბაშად ამოხეთქა. პუტინმა იმდენი ქნა, რომ იძულებული გახადა მთელი დასავლეთი, რომ ერთ მუშტად შეეკრა. არ აქვს შანსი რუსეთის პოლიტიკას, ეკონომიკას და რუსეთის შესაძლებლობებს.

„მოხალისეებს რომ არ ვუშვებთ, რატომ ეწყინა ზელენსკისო, საწყენი იყო და იმიტომ“

3%-იან ლილიპუტს არ აქვს მსოფლიოს 2/3-ის ეკონომიკის, ფინანსების და თუ გნებავთ, სამხედრო თვალსაზრისით ძალიან დიდი უპირატესობის მქონე დასავლეთისთვის გამკლავების შესაძლებლობა.

– თუმცა ვხედავთ, რომ პუტინი ავანტურაზე მიდის.

– კი, მიდის ავანტურაზე, მაგრამ ავანტურაზე ისეთები წასულან, პუტინს რომ ჯიბეში ჩაისვამდნენ. ჰიტლერსაც კი არ შერჩა ავანტურა. რა თქმა უნდა, პუტინი ჰიტლერის ოდენობის არ არის.

– იქ ჩაერივნენ სამხედრო თვალსაზრისით და დღეს რამდენად გამართლებულია, რომ მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით ხდება და რუსეთის იზოლაცია, მაგრამ არ ხდება სამხედრო თვალსაზრისით დახმარება?

– პროცესი მიდის ნორმალურად. სამხედრო დახმარება როგორ არ ხდება, აბა რითი ეწინააღმდეგება უკრაინა?!

– ვგულისხმობ უშუალოდ ჩართვას და უკრაინის დაცვას ამ თვალსაზრისით.

– ახლა ატომური იარაღის მქონე ქვეყანაა... არ აქვს შანსი პუტინს. ალბათობა იმის, რომ ამ ომს წააგებს პუტინი, განუზომლად დიდია, ვიდრე ის, რომ ცხენზე შემჯდარი შებრძანდება კიევსა და ლვოვში. ისინი ოკუპირებასაც კი ვერ ახერხებენ უკრაინის. იმიტომ, რომ იქ, სადაც რუსული ტანკი და ჯარისკაცები არიან შესულები, უკრაინელები – ქალაქის მერებიც კი მიტინგებს უწყობენ უკრაინის დროშებით და ჰიმნით. ასე რომ, შეუძლებელია მთელი ქვეყნის ოკუპაცია, როცა იქ მხარდამჭერი არანაირი დოზით არ გყავს.

ამიტომ, „ქართული ოცნება“, ბიძინა ივანიშვილი და მისი მოურავი ღარიბაშვილი, ყველა ერთად აღებული – ყველანი ესენი ინტელექტისგან დაცლილნი არიან. უფრო სწორად, უინტელექტოები, საიდან დაიცლებოდნენ, რაც არ ჰქონიათ. ესენი არიან არაკვალიფიციური ადამიანები. მსოფლიოში ერთადერთი მათ ჰგონიათ, რომ პუტინი მოიგებს ამ ომს და დასავლეთს დაამარცხებს. ისინი იქცევიან, როგორც კოლაბორაციონისტები და ამ საჯარო გამოსვლებით პრაქტიკულად ეუბნებიან რუსეთს, რომ ჩვენ თქვენთან ვართო. პარალელურად, მათ არ აქვთ თანმიმდევრული პოლიტიკა. გაეროში გამოდიან რუსეთის წინააღმდეგ, ისევე, როგორც ევროსაბჭოში. პარლამენტის ძალიან სუსტი განცხადებაც კი რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული, ამ დროს პრემიერი გამოდის და ამბობს, რომ არ მუშაობს სანქციები.

ასეთი კაცის, როგორიც ღარიბაშვილია, შეიძლება უნიკალურია, რომლისთვისაც ვაქცინა არ მუშაობს და სანქცია არ მუშაობს, მაგრამ ნორმალური ადამიანებისთვის ვაქცინაც მუშაობს და სანქციაც.

– ამის მიუხედავად, საქართველოდანაც ისმის მკვეთრი ხმა – ეს არის საზოგადოება და ეს არის პრეზიდენტი. ამაზე რა შეფასებას გააკეთებდით?

– ეს პინგ-პონგი, რომ ვაიმე, ზელენსკიმ რატომ გაიწვია ჩვენი ელჩი... რატომ გამოიწვია ღარიბაშვილმა ჩვენი ელჩი უკრაინიდან?! გავუქვითოთ, რა დროს ზელენსკის მოტივებზე ლაპარაკია. ჯერ ერთი, კაცი მსოფლიო ყურადღების ცენტრშია და ყველა მისი სიტყვა უმნიშვნელოვანესია. ევროპარლამენტარები ფეხზე წამოუდგნენ კაცს, რომელმაც უთხრა, რომ აბა ახლა დაამტკიცეთ, თუ ხართ ევროპელებიო. იმას კი არ განიხილავენ, რა მოსწონთ და რა – არა. ეწყინათ თუ არა. მოხალისეებს რომ არ ვუშვებთ, რატომ ეწყინაო, საწყენი იყო და იმიტომ. სწორადაც მოიქცა ამ თვალსაზრისით. დიახ, საქართველოდან ისმის ძალიან მკაფიო ხმა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– მმართველ გუნდში გვითხრეს, რომ ეს ომში ჩართვას ნიშნავდაო. არ ნიშნავდა?

– რა თქმა უნდა, არა. ხომ გაუშვეს ეს ხალხი?! სხვა მხრიდან წასულიყვნენო და გაუშვეს სხვა მხრიდან. საქართველოს საზღვარი ხომ გადალახეს უკრაინაში საომრად წამსვლელმა ადამიანებმა?! ხომ იცოდა ამ ხელისუფლებამ?! იდენტიფიცირებული ხომ იყო, ვაჟა გაფრინდაშვილი, დათო ქაცარავა და ყველა დანარჩენი რომ მიდიოდნენ, ეს ხალხი ხომ იდენტიფიცირებული იყო?! წინასწარ ხომ ჰქონდათ დეკლარირებული, რომ უკრაინაში მოხალისეებად მივდივართო. ხომ გაუშვეს საქართველოს საზღვრიდან, ანუ ხელი ხომ შეუწყვეს?! ე. ი. საქართველოს ხელისუფლება რუსეთიდან უკვე ქმნის თავდასხმის პირობებს?! რა თქმა უნდა, ამას ლოგიკა არ აქვს და გეუბნებით, რომ მათი უნარები ძალიან შეზღუდულია.

– ბოლოს ისევ დასავლეთს დავუბრუნდეთ. დღეს მართლაც არნახული ერთიანობაა, მაგრამ ჩნდება კითხვა – რამდენ ხანს შეინარჩუნებს დასავლეთი ერთიანობას. მეც მიჩნდება შიში, როგორც კი ჩაწყნარდება ვითარება, დასავლეთი ხომ არ დაიწყებს შერბილებაზე ფიქრს?

– რუსეთის ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, ეს არის პრინციპში დასავლური კონსენსუსი. პუტინთან არავინ აღარ აპირებს დაჯდომას. ის უკვე დამნაშავედ არის აღიარებული და ცოცხალი თუ გადაურჩება, მოუწევს ამა თუ იმ ტრიბუნალთან ყოფნა. თუ ტრიბუნალს გადაურჩება, არსებობს სხვადასხვა ვერსიები. გვახსოვს, შევარდნაძეს ვემუქრებოდით, რომ არჩევანი აქვს მილოშევიჩის და ჩაუშესკოს გზებს შორის.

ეკა გიგაური: „ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობა უნდა დატოვოს“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თავმჯდომარის ეკა გიგაურის განცხადებით, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი არსებულ კრიზისულ ვითარებაში შესაფერისი ფიგურა არ არის და უკრაინასთან დაკავშირებით გაკეთებული „ღირსებაშემლახველი განცხადებების“ გამო მან თანამდებობა უნდა დატოვოს.

როგორც გიგაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, პარლამენტში ოპოზიციას შეუძლია 51 ხმით მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცესი დაიწყოს.

– ჩემთვის, ისევე, როგორც საქართველოს ბევრი მოქალაქისთვის, მისი განცხადებები იყო აბსოლუტურად მიუღებელი. მგონია, რომ მისი განცხადებები საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო იყო. მისი ღირსებაშემლახველი განცხადებების გამო, ვფიქრობ, მან თანამდებობა უნდა დატოვოს.

როდესაც ასეთ კრიზისულ სიტუაციაში ვართ (რაც უკრაინაში ხდება, მხოლოდ უკრაინის ომი არ არის და ეს არის რუსეთის აგრესია დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ), არ მგონია, ის იყოს შესაბამისი ფიგურა, რომელმაც შეიძლება, ერთი მხრივ, საქართველოს ინტერესები გაატაროს ამ კრიზისულ ვითარებაში, მეორე მხრივ კი, ვხედავთ, როგორ სწრაფად ვითარდება უკრაინის ევროკავშირის კანდიდატობის საკითხი. ეს მნიშვნელოვანი პროცესია, რომელშიც საქართველო არ ჩანს.

ჩვენ გვქონდა ომი რუსეთთან და მგონია, ჩვენი ქვეყანა იმსახურებს, ამ მიმართულებით წინ წავიდეთ. არ ვიცით, რას აკეთებს ამ დროს ხელისუფლება. ამის სათავეში უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი.

მთავრობა დაკავებული უნდა იყოს არა იმით, როგორ გააშავოს ადამიანები, რომლებიც დგანან რუსთაველის გამზირზე და სოლიდარობას უცხადებენ უკრაინელ ხალხს, არამედ იმით უნდა იყოს დაკავებული, ამ პროცესში საქართველომ რა შეიძლება მიიღოს. არ მგონია, რომ პრემიერი ადეკვატურად აფასებს ამ ყველაფერს და იცის, რა უნდა გააკეთოს, როგორც მთავრობის ხელმძღვანელმა.

ის არ არის სწორი ფიგურა ამ თანამდებობაზე. არსებობს ბერკეტები იმისთვის, რომ მის და მთავრობის მიმართ უნდობლობის საკითხი დაისვას. ამისთვის საჭიროა 51 ხმა მაინც, შესაბამისად, ეს ხმები შესაძლოა, ოპოზიციამაც შეაგროვოს. მგონია, არის ის სიტუაცია, რომ მმართველ გუნდშიც კონკრეტულმა ადამიანებმა კონკრეტული გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ.

ამის შემდეგ, ბოლოში რომ გავიდეს ეს პროცესი, საჭიროა 76 ხმა. მაგრამ დღეს მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტში კონკრეტული ინიციატივები გაჟღერდეს, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

გია ვოლსკი: „კონსპირაციას არ გამოვრიცხავ“

– არც კონსპირაციას გამოვრიცხავ – არსებობს მისწრაფება, რომ როგორღაც საქართველოსა და უკრაინას შორის დაპირისპირება მოხდეს, დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტ ზელენსკის განცხადების წინ აბსოლუტურად დამახინჯებული ინფორმაცია მიუტანეს.

ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ საქართველოდან უკრაინის ელჩის გაწვევის თაობაზე დასმული კითხვის პასუხად განაცხადა.

როგორც ვოლსკიმ აღნიშნა, „მოვა დრო, როცა გავარკვევთ მიზეზებს, თუ რატომ მოხდა ასეთი გაუგებრობა“.

ვოლსკი დარწმუნებულია, რომ კონსულტაციების მიზნით გაწვეულ უკრაინის ელჩთან კონსულტაციების შედეგად, უკეთეს გადაწყვეტილებას მიიღებენ.

– უკრაინა ელჩს არ იწვევს ბელარუსიდან. მთელი რიგი ქვეყნები აცხადებენ, რომ უკრაინის არათუ იარაღით დახმარებას, მოხალისეების წასვლასაც ვერ შეუწყობენ ხელს. მათ შორისაა დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი და ასე შემდეგ. ასეთ პირობებში პატარა ქვეყანაში, რომელსაც ოკუპანტის ზარბაზანი სახეში აქვს დამიზნებული, ათასობით დევნილი ჰყავს, ელჩი ჰყავს კიევში ტყვიების ქვეშ, რესურსი მობილიზებულია ჰუმანიტარული დახმარებისთვის.

რასაკვირველია, გიჩნდება ლოგიკური კითხვა, რასაც მე პასუხს ვერ ვცემ... მართლაც უკრაინაში არსებობს გარკვეული პოლიტიკური გავლენის ჯგუფები, რომელსაც იმაზე მეტი რესურსი აქვს, რაც ჩვენ გაგვაჩნია, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ვანო მერაბიშვილი უკრაინაში ჩავიდა

– ქალაქ ლვოვში შეხვედრა მქონდა ქალაქის მერ ანდრეი სადავოისთან, რომელთანაც განვიხილეთ ჰუმანიტარული დახმარების მიმდინარეობა და სამომავლო გეგმები.

ამის შესახებ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

პოსტს „პრაიმთაიმი“ უცვლელად გთავაზობთ:

„უკანასკნელი დღეების განმავლობაში აქტიურად ვარ ჩართული პოლონეთში ჰუმანიტარული დახმარების შეგროვებასა და უკრაინაში მიწოდების საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.

ქალაქ ლვოვში შეხვედრა მქონდა ქალაქის მერ ანდრეი სადავოისთან, რომელთანაც განვიხილეთ ჰუმანიტარული დახმარების მიმდინარეობა და სამომავლო გეგმები. მე, ჩემი მხრიდან, ყველა შესაძლებლობას მოვახმარ რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში უკრაინის დახმარებას. გამძლეობას და უმოკლეს დროში გამარჯვებას ვუსურვებ გმირ უკრაინელ ხალხს. დიდება უკრაინას! დიდება გმირებს.“

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„პრეზიდენტი ზურაბიშვილი ღარიბაშვილს არასდროს დაემსგავსება“

თინა ხიდაშელი: „2020 წელს ჩვენ თვითონ გამოვიწვიეთ უკრაინიდან საქართველოს ელჩი და ჩვენც განვახორციელეთ ანალოგიური ქმედება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი თინა ხიდაშელი პასუხობს.

– ქალბატონო თინა, როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. უმძიმესი დღეები უდგას უკრაინას და დღეს მთელი მსოფლიო მის გვერდითაა. სად არის ამ დროს ჩვენი ხელისუფლება? უკრაინის პრეზიდენტმა ელჩი გაიწვია საქართველოდან. რა ხდება, რა შეცდომებს უშვებს ჩვენი ხელისუფლება?

– უკვე იმდენი ითქვა ამ თემაზე, რომ არ ვიცი, ახალი რა უნდა ვთქვა. ერთი რამ ნამდვილად უნდა ითქვას, რომ ელჩის გაწვევა არ ნიშნავს დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას და მინდა, რომ ეს ყველამ კარგად გააცნობიეროს. ისედაც არ ვართ განსაკუთრებულად კარგ მდგომარეობაში და ამასობაში კიდევ დამატებით ახალი პანიკის ატეხვა, რომ არიქა, დიპლომატიური ურთიერთობები გაწყდა, არ მგონია, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდეს და რამისთვის იყოს საჭირო. ხანდახან ნამეტანი მოგვივა ხოლმე. ამასობაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2020 წელს, ჩვენ თვითონ გამოვიწვიეთ უკრაინიდან საქართველოს ელჩი და ჩვენც განვახორციელეთ ანალოგიური ქმედება. ანუ ეს არ არის პირველი შემთხვევა, სამწუხაროდ.

– პირველად ჩვენმა ხელისუფლებამ გამოიწვია ელჩი უკრაინიდან?

– დიახ, პირველი ინიციატორები ჩვენ ვიყავით, სამწუხაროდ, მსგავსი მოქმედების. ამიტომ ის, ვინც უკრაინის პრეზიდენტს ლანძღავს, ესეც უნდა ახსოვდეს. ჩემი აზრით, გუშინ პრეზიდენტმა ზელენსკიმ კიდევ უფრო ნათელი გახადა საკუთარი პოზიცია, მართალია, მას სპეციალურად საქართველოზე არ ულაპარაკია, მაგრამ, როდესაც ის საუბრობდა იმ ქვეყნებზე, რომლებმაც რუსეთის წინააღმდეგ კოალიცია შეკრეს და მიმართავდა იმათ, ვინც ამ კოალიციაში ჯერ არ არიან კითხვით, რომ რას ელოდებითო, ვფიქრობ, რომ აქ ნათელი გახდა კიდევ უფრო მეტად მისი პოზიციონერების მიზეზი, რატომ მოიქცა ისე, როგორც მოიქცა. ამიტომ არ არის ეს ტრაგედია, მართალია არ არის კარგი ამბავი, მაგრამ არ არის ის, საიდანაც ვერ შემოვბრუნდებით. სამწუხარო ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლება, ნაცვლად იმისა, რომ გაეცნობიერებინა, რა მდგომარეობაში ჩავარდა, პირიქით, თავდაცვის მდგომარეობაშია ახლა და კიდევ უფრო მეტ შეცდომას უშვებს.

– ქალბატონო თინა, თქვენც იყავით ამ გუნდის წევრი, იყავით თავდაცვის მინისტრი, რას იტყვით ღარიბაშვილის განცხადებებზე, ეს არის შიში, თუ ეს არის ივანიშვილის ბრძანება?

– ეს ორი ერთმანეთს არ გამორიცხავს. ეს არის არაკომპეტენტური, აბსოლუტურად გამოუცდელი ადამიანის პანიკური შიში იმ მოვლენების წინაშე, რომელშიც აღმოჩნდა. კი, ამავდროულად ბატონისთვის სიამოვნების პოზაშია, იმიტომ, რომ ის პირველი განცხადება, რაც მან გააკეთა, საერთოდ არაფერში არ წერია. რა აუცილებლობა იყო ამის თქმის? ომის დროს ყოველი სიტყვა გადამწყვეტია და ყოველი მომენტი ისტორიულ მნიშვნელობას იძენს. იმ მომენტში რა აუცილებელი იყო ის განცხადება გაეკეთებინა, გაუგებარია, გარდა იმისა, რომ ვიღაცის გასაგონად ლაპარაკობდა. ის ვიღაცა არც უკრაინა იყო, რა თქმა უნდა, არც ჩვენი რომელიმე სტრატეგიული პარტნიორი და არც ამ ქვეყნის მოსახლეობა, სამწუხაროდ.

– ეს იყო ბატონის მაამებლობა?

– დიახ, ოღონდ ეს ბატონი ვინ არის მისთვის პირადად, ზუსტად არ ვიცი. ასე მარტივად არ არის საქმე, რომ მაინცდამაინც მარტო ბიძინა ივანიშვილის გასაგონად საუბრობს.

– თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა არჩევანი და ის დადგა რუსეთის მხარეს?

– იცით რა, მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ აირჩია შეშინებულის პოზიცია და მგონია, ისევ და ისევ იმის გამო, რაც მე გითხარით, საკუთარი უცოდინრობის და გამოუცდელობის გამო. ფიქრობს, ამ პოზაში თუ იდგება, ქვეყანას გადაარჩენს. ელემენტარულად, არც ერთი ჟურნალისტი არ უსვამს კითხვას, როდესაც მათ ეთერებში არიან, რომ თუ დამარცხდა უკრაინა ამ ომში, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ თუ დამარცხდა ამ ომში უკრაინა, მაშინ სად იქნება საქართველო?! აი ამ კითხვაზე რა პასუხი აქვთ? როგორ ჰგონიათ, უკრაინა დამარცხდება და ჩვენგან ჯარს გაიყვანენ რუსები?! ძალიან სამარცხვინოა ეს ყველაფერი, ძალიან მარტივი ლოგიკის არ არსებობის პირობებში ხელისუფლების მხრიდან.

> „რუსთაველის აქციებმა მსოფლიოს დაანახა, რომ აქ სახელმწიფო სუნთქავს, ფეთქავს და თავისუფლებისთვის იბრძვის“

– თქვენ რა მოლოდინი გაქვთ, რა ბედი ელის საქართველოს?

– საქართველოს ბედი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, უკვე ეგ აღარ ვიცი, თბილისში არ წყდება ამ წუთას და დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დასრულდება ომის ეს ფაზა უკრაინაში.

– უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებაზე უკვე ღიად ალაპარაკდა ყველა. ჩვენ ამ პროცესებს მიღმა ვრჩებით?

– ფაქტია, რომ გუშინ ევროპარლამენტმა მისცა რეკომენდაცია ევროკომისიას, რომ დაიწყოს პროცესი და იმ რეზოლუციაში საქართველო არ წერია, მარტო უკრაინა წერია. ამიტომ აქ დიდი ფიქრის ადგილი არ არის. მთავარი ამოცანა ის არის, რამე უნდა მოვიფიქროთ, რომ როგორმე ეს პროცესი შემოვაბრუნოთ. კი, ჯერჯერობით ის ფანჯარა ღიაა, კიდევ ძალიან ცოტა ხანი, მაგრამ ღია იქნება და გვაქვს შანსი, მაგრამ იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ ღარიბაშვილია პრემიერ-მინისტრი, ამ წუთას არანაირი შანსი არა გვაქვს.

– ღარიბაშვილის გადადგომას ითხოვს უკვე დღეებია რუსთაველზე შეკრებილი ათასობით ადამიანი. რამდენად შეცვლის სიტუაციას ღარიბაშვილის წასვლა? ბევრი ფიქრობს, რომ ერთ ღარიბაშვილს მეორე ჩაანაცვლებს და ამას რა მნიშვნელობა აქვს, ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოსო. ამაზე რას იტყვით?

– იცით რა, მე არ ვიცი, ეს რას ნიშნავს, მეორე ღარიბაშვილი მოვა. ზუსტად იგივე მეორე არ არსებობს და ამ ქვეყნის პოლიტიკურმა ცხოვრებამაც ეს დაადასტურა. ვინც ამას ამბობს, იმ ხალხის გასაგონად ვიტყვი, დღეს ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი რომ ყოფილიყო, სრულიად სხვა ვითარებაში ვიქნებოდით, მიუხედავად იმისა, რომ ისიც „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენდა. არ არიან ადამიანები იდენტურები. ძალიან დიდ როლს თამაშობს იმ კონკრეტული ადამიანის გამოცდილება, განვლილი გზა, ცოდნა, რომელიც აქვს. ყველაზე მძიმე მომენტში, ყველაზე არაკომპეტენტური და აბსოლუტურად ნულოვანი გამოცდილების მქონე ადამიანის ხელში აღმოვჩნდით. ერთი გვყავდა ღარიბაშვილზე უარესი, ბახტაძე, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი პრემიერის პირობებში, ჩვენ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით სტრატეგიული თვალსაზრისით. ამიტომ, ასეც არ არის, ეს თუ წავა, იგივე მოვა. თუ ეს მომენტი დადგება, რომ პრემიერი შეიცვლება, საზოგადოებამ იმაზეც უნდა მოახდინოს გავლენა, თუ ვინ მოვა ამ მოკლე მონაკვეთში, სანამ ახალი არჩევნები იქნება და ხელისუფლება მთლიანად გამოიცვლება.

– ანუ თქვენც იზიარებთ მოსაზრებას, რომ ღარიბაშვილი უნდა წავიდეს და რაც შეიძლება მალე?

– ზუსტად იმ წამიდან, რა წამსაც მან განცხადება გააკეთა ვაქცინებსა და ბუსტერთან დაკავშირებით. აი იმ დღიდან მიმაჩნდა, რომ აუცილებლად უნდა წასულიყო. პირდაპირ ეს უკრაინასთანაც არ იყო მაშინ დაკავშირებული. ის იყო საოცარი საღამო და იმის მერე დაიწყო სისულელეების კასკადი.

– რას იტყვით პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილის განცხადებებზე? თითქოს ემიჯნება ღარიბაშვილის განცხადებებს.

– მე ასე არ ვუყურებ ამას, რას ჰქვია ემიჯნება. სალომე ზურაბიშვილი არის ერთი სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც საკუთარი ხმა აქვს, საკუთარი სიტყვა და, ამავდროულად, არ დაგვავიწყდეს, რომ სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა და ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ასეთ დროს, როდესაც მისი მეორე სამშობლო ფრონტის წინა ხაზზე დგას უკრაინელების გვერდში. სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ მეორე და მესამე იდენტური არ არსებობს-თქო. ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას ადამიანების მიერ როგორც გადაწყვეტილების მიღებაზე, ასევე განცხადებებზე, რომელსაც ისინი აკეთებენ. ახლა, როგორ წარმოგიდგენიათ, რასაც არ უნდა ვფიქრობდეთ ჩვენ სალომე ზურაბიშვილის არჩევნების პროცესთან დაკავშირებით, ერთი წამით ვინმეს დაშვება შეუძლია იმის, რომ ის ირაკლი ღარიბაშვილს დაემსგავსება ოდესმე?! არა! იმიტომ, რომ ადამიანები საკუთარი განვლილი გზით მოვდივართ და იმ ისტორიის გამგრძელებლები ვართ, რომელიც გავიარეთ. ამიტომ, ჩემთვის ძალიან ნორმალურია ის, რასაც ქალბატონი სალომე აკეთებს. საერთოდ არ გამკვირვებია ეს არც ერთი წუთით.

– ძალიან რთულია ამ სიტუაციაში პროგნოზის გაკეთება, მაგრამ რა მოლოდინი გაქვთ? რამდენად შეაჩერებს ის სანქციები რუსეთს, რომელიც მსოფლიომ მის წინააღმდეგ წამოიწყო?

– აუცილებლად შეაჩერებს. კი არ შეაჩერებს, ჩამოშლის რუსეთს. რუსეთის სახელმწიფო, ისეთი, როგორიც ის იყო პუტინის მმართველობის დროს, არასდროს აღარ იქნება. აქ კითხვა ის არ არის, რა მოხდება? ზუსტად ვიცით, რაც მოხდება. კითხვა ისაა, რამდენი დრო დასჭირდება ამას. რამდენ ხანს გაუძლებს ეკონომიკა ჩამონგრეული და რუბლგაუფასურებული რუსეთი აი ამ მდგომარეობას. რაზეც პრეზიდენტი ბაიდენი საუბრობდა, ახალი რიგი სანქციებისა, საბჭოთა კავშირი სინამდვილეში მაგან დაანგრია, სხვა კი არაფერმა. როდესაც პრეზიდენტი ბაიდენი საუბრობდა იმაზე, რომ დამატებით ნავთობს გამოყოფს ამერიკის სტრატეგიული რეზერვებიდან იმისათვის, რომ ნავთობის ფასი დაეცეს, აი ამან დაშალა თავის დროზე საბჭოთა კავშირი. ეს იყო ბოლო ლურსმანი საბჭოთა კავშირის კუბოზე, ამიტომ პუტინი და მისი რეჟიმი ამას ვერ გაუძლებს, ეს ფაქტია, ეს შემდგარი მოცემულობაა. უბრალოდ, მთელი ტრაგედია ის არის, რომ ამასობაში ადამიანები იღუპებიან უკრაინაში.

– ქალბატონო თინა, ბოლოს გკითხავთ, ის აქციები რომელიც ახლა რუსთაველზე მიმდინარეობს, რა შედეგით დასრულდება? ისევ ნაცების და ქოცების დაპირისპირებაში ხომ არ გადაიზრდება ეს ყოველივე და შედეგიც იგივე დადგება, რაც წინათ?

– ამ შემთხვევაში ნაცები და ქოცები საერთოდ არ მაინტერესებს. ამ აქციას შედეგი უკვე ჰქონდა. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ აქ სახელმწიფო სუნთქავს, ფეთქავს და თავისუფლებისთვის იბრძვის. ჩემთვის პირადად, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, დროის და ისტორიის ამ მომენტის ამოცანა უკვე შესრულებულია. ის, რაც ვერ მოახერხა ქვეყნის ხელისუფლებამ, რომ წარმოედგინა სახელმწიფო ღირსეულად, სწორედ ის გააკეთა ხალხმა! შედეგი, რომელიც უნდა გამოეღო ამ მოქმედებას, რომ სახელმწიფოს ღირსება გადაგვერჩინა, ეს შედეგი უკვე დამდგარია. ერთი მხრივ, ქვეყნის პრეზიდენტმა და, მეორე მხრივ, ქუჩაში ხალხმა, ეს შეძლო.

საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განაცხადს დღეს ოფიციალურად წარადგენს

– საქართველოს მთავრობა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, დაჩქარებული წესით უკვე ამზადებს განაცხადს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, რომელიც ევროკავშირის სტრუქტურებს საქართველოს ხელისუფლების სახელით 3 მარტს ოფიციალურად წარედგინება.

ამის შესახებ გუშინ, 2 მარტს, „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გამართულ პრეს-კონფერენციაზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, განაცხადა.

– ოპოზიციას, რომელიც ირონიულად აფასებდა ჩვენს ამბიციურ საპროგრამო გეგმას 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანისა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების თაობაზე, დღეს აქვს შექმნილი ხელოვნური აჟიოტაჟი ამ საკითხის გარშემო.

ამ აჟიოტაჟსაც აქვს ერთადერთი მიზანი, აღნიშნული განაცხადი სანქციების დაწესებასა და შეიარაღებულ კონფლიქტში საქართველოს ჩართვას დაუკავშირონ. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ როგორც სანქციების დაწესება, ისე სამხედრო კონფლიქტში საქართველოს რაიმე ფორმით ჩართვა იქნება უმძიმესი შედეგის მომტანი ჩვენი ქვეყნისთვის და საქართველოს მოსახლეობისთვის.

ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების დაკავშირება სანქციებთან ან ქვეყნის საომარ მოქმედებებში ჩართვასთან, ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია. პირიქით, ეკონომიკურად სუსტი და მოწყვლადი ქვეყანა ევროკავშირში არავის სჭირდება. სანქციებითა და ომით დამძიმებულ ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა სრულად გაუქრებოდა.

2024 წელს, როგორც ეს „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამით იყო გათვალისწინებული, ძლიერი, ახალი რეფორმებით ზურგგამაგრებული განაცხადის შეტანას ექნებოდა მრავალი უპირატესობა განაცხადის ნაჩქარევ შეტანასთან შედარებით. თუმცა, საერთო პოლიტიკური კონტექსტისა და ახალი რეალობის გათვალისწინებით, პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრებთან და პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების საფუძველზე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, განაცხადი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად დაუყოვნებლივ წარადგინოს.

საქართველოს მთავრობა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, დაჩქარებული წესით უკვე ამზადებს განაცხადს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, რომელიც ევროკავშირის სტრუქტურებს საქართველოს ხელისუფლების სახელით 3 მარტს ოფიციალურად წარედგინება.

მოვუწოდებთ ევროკავშირის სტრუქტურებს, საგანგებო რეჟიმში განიხილონ ჩვენი განაცხადი და მიიღონ გადაწყვეტილება საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ.

ჩვენი ოცნება და პოლიტიკური მიზანია, საქართველო გახდეს ეკონომიკურად ძლიერი და უსაფრთხო ევროპული ქვეყანა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ხელისუფლების თითოეული ნაბიჯი, მათ შორის, ჩვენი გადაწყვეტილებაც.

გასული წლების განმავლობაში, ჩვენს ხელისუფლებას ჰქონდა არაერთი შთამბეჭდავი მიღწევა ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. ხელი მოვაწერეთ ასოცირების შეთანხმებასა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ევროკავშირთან, მივიღეთ უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. ევროკავშირში ინტეგრაცია კონსტიტუციურ ამოცანად განვსაზღვრეთ. განვახორციელეთ მრავალი რეფორმა, რომელმაც ქვეყანა ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოვა. 2024 წლამდე ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის წარდგენა „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წელს საარჩევნო პროგრამის მთავარ მიზნად გამოაცხადა. ამ ძალისხმევის ლოგიკური გაგრძელებაა ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება განაცხადის დაუყოვნებლივ წარდგენისა და კანდიდატის სტატუსის მიღების შესახებ.

გასულ წელს საქართველოს ჰქონდა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, რომელმაც 10,6 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე წლის იანვარი 18-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდით დავხურეთ. ჩვენი ხელისუფლება მყარად იცავს სახელმწიფოს ინტერესებს უსაფრთხოების თვალსაზრისით. ეს არის გზა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა სიღარიბის დაძლევამდე, ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობისა და უსაფრთხოების ხარისხის თვისებრივ ამაღლებამდე და დეოკუპაციამდე უნდა მიიყვანოს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების თითოეული ნაბიჯი მომავალშიც გამსჭვალული იქნება ამ მიზნით და პასუხისმგებლობით ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის წინაშე, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ევროპა რუსულ გაზზე უარისთვის ემზადება

ახლანდელ ანტირუსულ სანქციებს კრემლისა და მისი ქვეშევრდომებისათვის მძიმე შედეგი მოაქვს

მარიამ მჭედლიშვილი

საერთაშორისო და მრავალმხრივი სანქციები, რომლებიც რუსეთს უკრაინაში შეჭრისა და ლუგანსკ-დონეცკის რესპუბლიკების „დამოუკიდებლობის“ აღიარებისათვის დაუწესდა, გაცილებით სერიოზულია და ვერ შეედრება იმ შეზღუდვებს, რომლებიც დასავლეთმა კრემლს 2014 წლის შემდეგ დაუდგინა.

ამჯერად საუბარია უამრავ შეზღუდვაზე, რუსეთისთვის საჰაერო სივრცის ჩაკეტვით, ბოსფორ-დარდანელის სრუტით დაწყებული, სხვადასხვა პროდუქციის ექსპორტ-იმპორტითა და მომსახურებით შეჩერებული.

რუსული პროპაგანდა ხალხს არწმუნებდა, რომ აშშ ანტირუსულ სანქციებში ევროპას ითრევდა, თვითონ კი ამაში ნაკლებად მონაწილეობდა. სახელდებოდა კომპანია „ბოინგი“, რომელიც თითქოსდა რუსეთთან თანამშრომლობას არ წყვეტდა.

სინამდვილეში, ამერიკული საავიაციო ტექნიკის მწარმოებელი „ბოინგი“ წყვეტს რუსული ავიაკომპანიების მომსახურებას და მათთვის ნაწილების მიწოდებას. მოსკოვში „ბოინგის“ განყოფილების საქმიანობა ასევე შეწყვეტილია.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ზოგიერთ ანტირუსულ სანქციას უერთდება ჩინეთი.

ჯერჯერობით ევროპაში ისევ მიედინება რუსული გაზი. მიმდინარეობს მზადება რუსეთის ჩანაცვლებისათვის. ბრიტანული მედიის ცნობით, ბრიტანეთის ხელისუფლება მუშაობს ევროპაში რუსული ენერგოკომპანიების პოზიციების შესუსტებაზე. ლონდონს იმედი აქვს, რომ მომავალი წლის ზამთრისათვის ევროპა მოახერხებს, უარი უთხრას რუსულ გაზს. თვითონ დიდი ბრიტანეთი რუსულ გაზზე დამოკიდებული არ არის. ლონდონი მონაწილეობს რუსეთის ენერგომომწოდებლების გავლენის შემცირებაზე ევროპაში, განსაკუთრებით, გერმანიაში.

ცხინვალში ხელფასებს ვერ არიგებენ

ანალიტიკოსების გათვლით, წლევანდელ სეზონს (დათბობამდე) ევროპა ძველებურად გაატარებს. ოქტომბრამდე უნდა მოხდეს გაზის მიწოდების რესტრუქტურიზაცია. სიტუაციის დალაგებამდე ენერგოტევად დარგებს მოუწევთ სამუშაო დღეების შემცირება. ევროკავშირისა და აშშ-ის თხოვნით, ევროპას თხევად ბუნებრივ აირს მიაწვდის იაპონია (რუსეთის წინააღმდეგ სანქციებში ტოკიო აქტიურად მონაწილეობს). გარდა ამისა, ევროკავშირის ჩინოსნები აწარმოებენ მოლაპარაკებებს ყატარსა და აშშ-სთან თხევადი გაზის შემოტანაზე.

თუ ეს გეგმა განხორციელდა, მაშინ, ალბათ, საბოლოოდ დაესმება წერტილი კრემლისათვის საამაყო „ჩრდილოეთი ნაკადი 2“-ის გაზსადენს და რუსული გაზით ევროპის დაშანტაჟებას.

სხვა საქონელთან ერთად, ევროპულმა დისტრიბიუტორებმა და რიტეილერებმა ბოიკოტი გამოუცხადეს რუსულ საბავშვო პროდუქციას. ჩეხეთმა, პოლონეთმა, ფინეთმა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა აღარ მიიღეს რუსეთიდან საბავშვო ავეჯი და სათამაშოები. 2021 წლის იანვარ-სექტემბერში ამ პროდუქციის ექსპორტმა შეადგინა 1, 6 მილიონი დოლარი. ევროპელმა მწარმოებლებმა, თავის მხრივ, შეწყვიტეს ამ საქონლის შეტანა რუსეთში. ამერიკული და ევროპული ბოიკოტი შეეხო ასევე ქსოვილებსა და ფურნიტურას.

რუსეთის მიერ პროვოცირებული და სასანქციო კრიზისის გამო მოსახლეობისათვის განმარტებების გაკეთება დასჭირდათ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში. აფხაზეთის ბანკის წარმომადგენელი მოუწოდებს მოსახლეობას, არ ჩავარდეს პანიკაში და არ გამოიტანოს ერთბაშად ბანკებში დაგროვილი დანაზოგები. მისი თქმით, რუსული ბარათებით მომსახურება ძალაში რჩება. რუსეთიდან აფხაზეთში თანხების გადმორიცხვა არ უკავშირდება „სვიფტს“, საიდანაც რუსეთის რამდენიმე ბანკი გათიშეს.

ამასთან, ბანკის წარმომადგენელმა ხალხი სიძნელეებისთვის შეამზადა:

– უნდა ვიყოთ მზად ფასების მომატებისათვის. მოსახლეობის რეალური შემოსავლები და მსყიდველუნარიანობა დაიკლებს. ბანკების წინააღმდეგ სანქციების შედეგები მყისიერია. ამას ჩვენ ვაკვირდებით ვალუტების კურსების შეცვლითა და საფონდო ბაზრების ჩამოშლით.

ცხინვალის კეთილმოწყობისა და წყალკანალის თანამშრომლებისათვის ხელფასების გაუცემლობაზე პასუხი მოუხდა ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელ ბიბილოვს. წინათ ცხინვალის რეგიონი აფხაზეთზე ბევრად უკეთ იყო მოსკოვიდან დაფინანსებული. ბიბილოვი სიტუაციას ტექნიკური პრობლემით ხსნის:

– ყოველწლიურად ფინანსების მისაღებად რუსეთის ფედერაციასთან ვდებთ შეთანხმებებს. სანამ ტექნიკური საკითხები არ გადაწყდება, პრობლემა იქნება. საკითხი მალე მოგვარდება და ხელფასები დარიგდება.

ორივე ოკუპირებულ რეგიონს უკრაინაში რუსეთის შეჭრის ფონზე მზადყოფნაში ჰყავს მოყვანილი ე. წ. ჯარები. სოხუმი და ცხინვალი თბილისიდან ძალის გამოყენებას ელის. აფხაზურ წყაროებში ვრცელდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ზალკალიანის კომენტარი იმაზე, რომ საქართველო ამ რეგიონების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას არ აპირებს.

აფხაზეთში ყველას არ ჰგონია, რომ თბილისი სოხუმის წინააღმდეგ რაიმეს აპირებს. საქართველოს პრემიერისა და „ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებებში იქაურებმა პანიკა ამოიკითხეს.

საქართველოს მმართველი გუნდის კაპიტულანტურ-ქაოსურმა და არაზნეობრივმა მიდგომამ უკრაინის მოვლენების მიმართ, გაარადიკალურა საქართველოს ის საზოგადოებაც, რომელიც პოლიტიკისგან შორს იყო, გააოცა ადამიანები ენგურსგაღმა და თბილისიდან ელჩი გააწვევინა უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის.

– რომელ შემოჭრაზე ლაპარაკობთ? საქართველო თვითონ პანიკაშია. რუსეთის წინააღმდეგ სანქციებში მონაწილეობაც კი ვერ გაბედეს, – ასკვნის ერთ-ერთი აფხაზი.

„საქართველოს არჩევანი გარკვეულია. ვიბრძვით დასავლური კურსისთვის“

ვახტანგ ძაბირაძე: „იუნკრების საფლავზე რუსეთს კოჭი გაუგორო, წარმოუდგენელია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ოპოზიციის, კონკრეტულად ელენე ხოშტარიას მიერ დაანონსებული აქცია, რომ პრემიერი ღარიბაშვილი კანცელარიაში არ შეეშვათ, ჩაიშალა თუ გადაიდო. როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია იგივე შეცდომას ხომ არ უშვებს?

– რა იყო მოტივი ამ აქციის ჩაშლის, გაუგებარი დარჩა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიცია ისევ სულსწრაფობს, ისევ იგივე შეცდომებს უშვებს. უკვე მერამდენედ. ოპოზიციის ასეთი საქციელი დამღუპველია. ჯერ უნდა ეფიქრათ, კონკრეტული, გაწერილი გეგმა უნდა შეემუშავებინათ და შემდეგ უნდა ემოქმედათ, შემდეგ უნდა დაეანონსებინათ ასეთი აქციები. დამღუპველი იმიტომ ვთქვი, რომ ეს ადამიანებში იმედგაცრუებას იწვევს. მერწმუნეთ, ამის შემდეგ უფრო ნაკლები ხალხი მივა აქციაზე. თუ ეს უნდათ, მაშინ, კი ბატონო.

– ამ აქციების ფორმატი განსხვავებული იყო. პოლიტიკოსები არ ასულან ტრიბუნასთან და საზოგადოებისთვის არ მიუმართავთ. თუმცა, ეს ფორმატი შეიცვალა. ეს იყო შეცდომა?

– რა თქმა უნდა, შეცდომა იყო. ოპოზიციის დაძახილზე არ მისულა ეს ხალხი იქ. ოპოზიციის მხარდასაჭერად არ მისულან. ამას თუ ვერ ხვდებიან, მაშინ, გამოდის, საერთოდ ვერ ხვდებიან ვერაფერს. თვითონ საზოგადოებას მოეხდინა თვითორგანიზება, ახალგაზრდებისთვის დაეთმოთ სცენა, ეს ბევრად უფრო ბუნებრივი და მნიშვნელოვანი იქნებოდა, მაგრამ არა, რომ დაინახეს გადაკეტილი რუსთაველი, იმ წუთში მოინდომეს თავიანთი თავის დაფიქსირება. იქ, ხალხი ღარიბაშვილის განცხადებებმა გამოიყვანა, უკრაინის თანაგრძნობამ გამოიყვანა და არა ოპოზიციის რომელიმე ლიდერმა. ამას უნდა მიხვდნენ. ოპოზიციაც არანაკლებ ფრთხილი უნდა იყოს თავის ქმედებაში, განცხადებებში, ვიდრე ხელისუფლება.

სამწუხაროდ, დღეს, ხალხს, ამ ქვეყნის მოქალაქეებს არ სჯერა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის. სამწუხაროდ, ეს მათივე დამსახურებაა და ამაში დამნაშავე არავინ არ არის. ეს პროცესი უნდა მიეშვათ. ოპოზიციის გარეშე ხალხი როგორმე თავს მოაბამდა, რა მოთხოვნები უნდა ჰქონოდა და როგორ უნდა მოეთხოვათ.

მინდა ოპოზიციას ვკითხო, ახლა სალომე ზურაბიშვილი არ არის კრემლის აგენტი?! ამას ვამბობ იმიტომ, რომ არ შეიძლება ასეთი სიძულვილის ენა გქონდეს. ასეთმა ერთმანეთის სიძულვილმა მიგვიყვანა სწორედ ამ მდგომარეობამდე.

– პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებებზე მინდა გკითხოთ. როგორ ფიქრობთ, რითი იყო მისი განცხადებები განპირობებული? შეიძლებოდა ამ განცხადებებს კონკრეტული ადრესატი ჰყოლოდა კრემლის სახით?



– ერთმანეთის მიყოლებით ღარიბაშვილმა სამი განცხადება გააკეთა, რომელიც უშუალოდ უკრაინის საკითხს ეხებოდა. სამივე განცხადება იყო მიუღებელი და შეცდომა. არ შეიძლებოდა იუნკრების საფლავზე კოჭი რუსეთს გაუგორო. ეს წარმოუდგენელია. თან მიხვიდე იუნკრების საფლავზე და თან რუსეთს კოჭი გაუგორო, ეს შეუთავსებელია ერთმანეთთან. არ გამოდის. სხვა დანარჩენი განცხადებებიც ამ საკითხზე, არ იყო არა თუ ქვეყნის მეთაურის და უმაღლესი პირის მიერ გაკეთებული განცხადება, ეს არ იყო დაბალი, საშუალო რგოლის პოლიტიკოსის განცხადებაც კი. ეს იყო სრულიად აცდენილი რეალობას. პოლიტიკა განცხადებებია და სხვა არაფერი.

საერთოდ რა აუცილებელი იყო განცხადებები, არ მესმის. ბოლოს და ბოლოს დიპლომატიური ენა არსებობს. ხომ იცით „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.“ ვინ უთხრა, რომ რუსეთთან დაპირისპირების ავანგარდში უნდა იყოს, ან ვინ უთხრა, რუსეთთან ომში უნდა ჩავებათ. შეუძლებელია სიბეცესა და სიფრთხილეს შორის განსხვავება ვერ დაინახო. თუ პუტინს უნდა გამოვაცხადოთ ნეიტრალიტეტი, უარი ვთქვათ ნატოზე, დასავლურ ალიანსებზე, რა, ღარიბაშვილის სიფრთხილე შეაჩერებს?! როგორ შეიძლება ასეთი ბეცი წარმოდგენა გქონდეს პუტინზე.

– მიუხედავად იმისა, ამ დღეებში ითქვა, საქართველო ევროკავშირში განაცხადს 2024 წელს გააკეთებს, გაირკვა, დაჩქარებული წესით იმუშავებს პარლამენტი, რომ განაცხადი გაკეთდეს.

– ეს მას შემდეგ, რაც ხალხი პროტესტით ქუჩაში გამოვიდა. ხელისუფლება ახლა ამ პროტესტის გადაფარვას ცდილობს. საქართველოს არჩევანი გარკვეულია. მას შემდეგ, რაც სახელმწიფოებრიობისთვის ვიბრძვით, ცნობილია, რომ ვიბრძვით დასავლური კურსისთვის, დასავლური ინტეგრაციისთვის. თუ არადა, გააკეთონ გამოკითხვა, ვიმსჯელოთ ამაზე და ვნახავთ, სად უნდა ქართველ ხალხს, საქართველოს მოქალაქეებს.

– კონსტიტუციაში ხომ გვაქვს ჩანაწერი.

– დიახ, რასაკვირველია, მაგრამ როცა უნდათ, მაშინ იშველიებენ კონსტიტუციას და როცა უნდათ, თაროზე შემოდებენ. სხვათა შორის, ასე იყო ყველა დანარჩენი ხელისუფლება და ამიტომაც ვართ ამ დღეში.

„არ ვიცი, რატომ გააკეთა ეს განცხადება“ — ზურაბიშვილი ღარიბაშვილზე

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა არ იცის, რატომ ისაუბრა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რუსეთისთვის სანქციებისთვის არ შეერთებასთან დაკავშირებით. როგორც მან ფრანს 24-ს განუცხადა, თვითონ მსგავს განცხადებას არ გააკეთებდა.

– პირველ რიგში, არ ვიცი, რატომ განაცხადა ეს. ჩვენი ქვეყანა უკვე სანქცირებულია ოკუპირებული ტერიტორიებით. დარწმუნებული არ ვარ, რომ შეგვიძლია ისეთი ზომების მიღება, რომელთაც შესამჩნევი შედეგი ექნება. მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ასეთი ტიპის განცხადების გაკეთებას დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა. გულწრფელად, მე ასეთ განცხადებას არ გავაკეთებდი. რაც ახლა მნიშვნელოვანია და რასაც საქართველოსგან ელოდებიან, ეს სოლიდარობაა და აქაც ამის დემონსტრირებისთვის ჩამოვედი, – თქვა ზურაბიშვილმა.

საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს შეუერთდეს, რასაც ხელისუფლება „ქვეყნის ინტერესების“ საბაბით ხსნის.

გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ხელი შეუშალა ქართველი მოხალისეების უკრაინაში გამგზავრებას, რომელთაც საომარ მოქმედებებში ჩართვა სურდათ.

გიორგი ბოტკოველი: „საჯარო მოხელეები უკრაინის მხარდამჭერ აქციაში მონაწილე ადამიანებს მოღალატეებად იხსენიებენ“

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, გიორგი ბოტკოველის განცხადებით, საჯარო მოხელეებმა საკუთარ „ფეისბუქ“ გვერდზე გამოაქვეყნეს პოსტები, სადაც ისინი უკრაინის მხარდამჭერ აქციაში მონაწილე ადამიანებს მოღალატეებად იხსენიებენ.

როგორც ბოტკოველმა ბრიფინგზე განაცხადა, საჯარო მოხელეებმა, მათ შორის სხვადასხვა ქალაქის მერებმა, საკრებულოს წევრებმა და გუბერნატორებმა სოციალურ ქსელში დაწერეს, რომ ვინც პარლამენტთან დაანონსებულ აქციაზე მივიდოდა, მოღალატეა.

ბოტკოველი პოსტების ავტორებს რუსეთის აგენტებს უწოდებს.

– ესენი არიან კონკრეტული სახელის და გვარის ადამიანები, ვინც 1 მარტს გამოააშკარავეს საკუთარი თავი. ესენი არიან საჯარო მოხელეები, თანამდებობის პირები, მაგალითად, თელავის მერი ლევან ანდრიაშვილი. „ფეისბუქ“ გვერდზე განთავსებულ სტატუსში იმ ადამიანებს, ვინც ამ დღეების განმავლობაში პარლამენტის შენობასთან დგანან, მათ, ვინც გამოხატავენ პროტესტს, რომელიც ამ ქვეყნის გადარჩენისა და თავისუფლებისთვისაა, ეს უნამუსო ადამიანები, რუსეთის გაშიფრული აგენტები მიმართავენ პატრიოტ ადამიანებს, უწოდებენ მათ მოღალატეებს. სწორედ ეს ადამიანები არიან მოღალატეები, ესენი არიან ჩინოვნიკები, მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, გუბერნატორები, მათი მოადგილეები, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები, – აცხადებს გიორგი ბოტკოველი.

პროკურორი ვეფხვაძე: „დაცვის მხარეს გაჭიანურების საშუალებას არ მივცემთ“

სასამართლოს ეზოში რატი წვერავას დაუპირისპირდნენ

გუშინ, 2 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, 5 ივლისს ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის საქმეზე 6 ბრალდებულის სასამართლო პროცესი გაიმართა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე მოწმის სახით ორი დაზარალებული – ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტი რატი წვერავა და „მთავარი არხის“ ოპერატორი დათო ახალაძე დაიკითხნენ.

აღნიშნული საქმის პროკურორის, ლევან ვეფხვაძის განცხადებით, ადვოკატები პროცესის გაჭიანურებას შეეცდებიან, თუმცა ბრალდების მხარე და სასამართლო მოწადინებულია, რომ არ მისცეს მათ პროცესის გაჭიანურების საშუალება.

– სასამართლო პროცესი გაგრძელდება დაზარალებულების დაკითხვით, კერძოდ, დაიკითხებიან ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტი რატი წვერავა და „მთავარი არხის“ ოპერატორი დათო ახალაძე. გვაქვს მოლოდინი, რომ დაცვის მხარე შეეცდება, დასვას ისეთი შეკითხვები, რომლებიც საქმესთან კავშირში არაა, ასევე შეეცდებიან პროცესის გაჭიანურებას, თუმცა ბრალდების მხარე და სასამართლო არის მოწადინებული, რომ არ მისცეს პროცესის გაჭიანურების საშუალება, პროცესი ჩატარდეს დროულად და დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება, – აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

სასამართლოს ეზოში ჟურნალისტებსა და ჟურნალისტებზე განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებულების მხარდამჭერებს შორის დაპირისპირება მოხდა.

საქალაქო სასამართლოში მყოფი მხარდამჭერები თავდაპირველად რატი წვერავას დაუპირისპირდნენ. სიტუაციის განსამუხტად ადგილზე საპატრულო პოლიციის გამოძახება გახდა საჭირო.

– როდესაც რატი წვერავა გადიოდა, ოპერატორები ვიღებდით მის გამოსვლას. შემოვბრუნდით უკან, როდესაც დაგვხვდა აგრესიული ჯგუფი, მათგან ერთ-ერთი ჩემს ჟურნალისტთან მივიდა და პროვოკაციულ კითხვებს უსვამდა. მომცივდნენ, მეძახეს ფულის მონა და შეურაცხმყოფელი სიტყვები, რაზეც ვერ მოვითმინე და იმავეთი ვუპასუხე, რის შემდეგაც დაიწყო გაწევგამოწევა.

საპატრულო პოლიცია გამოიძახა მანდატურის სამსახურმა, რომლებმაც დაგვკითხეს და მიიღეს ინფორმაცია, თუ რა მოხდა, – განაცხადა „რუსთავი 2“-ის ოპერატორმა არჩილ ჭიჭიბოშვილმა.

ირინე თოდაძე: „7 ნოემბერს მეუღლეს ფეხი ჰქონდა კანზე ჩამოკიდებული, ორივე ძვალი დამსხვრეული“

2007 წლის 7 ნოემბრის საქმეზე ერთ-ერთი მოწმე დაზარალებულის უფლებამონაცვლის ირინე თოდაძის განცხადებით, 7 ნოემბრის აქციის დროს, რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეხში დაჭრილი მისი მეუღლის, ვახტანგ ინასარიძის, დასახმარებლად მისულ ადამიანებს სპეცრაზმის წევრები უყვიროდნენ, რომ დაჭრილი ძირს დაეგდოთ.

– ჩემს მეუღლეს დაურეკეს და უთხრეს, რომ რიყეზე მიმდინარე აქციაზე ხალხი იყო მოწამლული ცრემლსადენი გაზით, რის შემდეგაც იგი მეგობრებთან ერთად მათ დასახმარებლად წავიდა. რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე, მას ფეხში მოხვდა ძალიან ძლიერი ძალის მქონე ტყვია, ე.წ. დუმ-დუმი, რაც მოგვიანებით უცხოელმა ექსპერტებმაც დაადასტურეს. ფეხი ჰქონდა კანზე ჩამოკიდებული, ორივე ძვალი დამსხვრეული, ძალიან რთული პრეპარატების მიღება დასჭირდა, ჭრილობა არ ხორცდებოდა, დიდი შიში გავიარეთ. ვახტანგს ამის შემდეგ ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები და მინდა ვთქვა, რომ ჩემი მეუღლე ამ ტრავმებმა შეიწირა, – განაცხადა სასამართლო პროცესზე ირინე თოდაძემ.

მოწმის თქმით, აღნიშნული ფაქტის შემდეგ, მის ოჯახს ემუქრებოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ გაჩუმებულიყვნენ.

– 2007 წლის 23 ნოემბერს აგარაკზე წავედი მამამთილთან, დამხვდა ფეხშიშველი, ტალახიანი ფეხებით იწვა ლოგინში, კისერი ჰქონდა დასერილი. 91 წლის კაცს მიაყენეს სასიკვდილო დაზიანებები. ჩემმა მამამთილმა თქვა, რომ ორი ადამიანი იყო მისული და დაემუქრნენ. ასევე, შვილის მიმართ იყო მუქარა, შემოგვითვალეს, შვილი ხომ გყავთო... გარდა ამისა, სამკურნალოდ წასვლა გვინდოდა და არაფრით არ გვიშვებდნენ, – აღნიშნა ირინე თოდაძემ.

მოწმემ ასევე ის დაზარალებულებიც გაიხსენა, რომლებიც 7 ნოემბრის აქციის დარბევის დროს საავადმყოფოში იმ დროს შეიყვანეს, როდესაც იქ მისი მეუღლე იწვა.

– ჩვენთან ერთად იწვა პატარა ბიჭი ნიკოლოზ დიდიშვილი, რომელსაც იგივე ტყვია კუნთში ჰქონდა მოხვედრილი და სასწაულებრივად გადარჩა, რომ ამპუტაცია არ ჩაუტარდა. გიორგი თევდორაშვილის შეყვანასაც შევესწარი შემთხვევით, მე ეს ბიჭები ავარიაში მოყოლილები მეგონა, თურმე აქციაზე ყოფილან. გიორგი თითქმის მკვდარი შეიტანეს, ეს მახსოვს, – განაცხადა ირინე თოდაძემ.

7 ნოემბრის საქმეზე, ბრალდების მხარის 3 მოწმე დაიკითხა. სამივე მათგანი 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის საქმეზე დაზარალებულის სტატუსითაა.

რუსეთის საერთაშორისო ადვოკატმა ალან პელემ მის დაცვაზე უარი თქვა

უფლებადამცველების განცხადებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო – მან უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ შემაკავებელი ზომები გამოსცა.

– თუკი აქამდე სასამართლო ორ მხარეს მიმართავდა ხოლმე, რომ ომის დროს თავი შეეკავებინათ აგრესიის გამოხატვისგან, ახლა, ამ განცხადებაში, პირდაპირ რუსეთია მოხსენიებული. ეს არის კიდევ ერთი დადასტურება საერთაშორისო დონეზე, აღიარება იმისა, რომ დღეს რუსეთი სჩადის კაცობრიობის წინააღმდეგ ძალიან დიდ დანაშაულს და პუტინი აკეთებს ამას, – ამბობს იურისტი ედუარდ მარიკაშვილი.

იურისტების შეფასებით, აღსანიშნავია ადვოკატის, ალან პელეს, გადაწყვეტილებაც, რომლითაც მან რუსეთის ინტერესების დაცვაზე უარი თქვა. ალან პელე ცნობილი საერთაშორისო საჯარო სამართლის ადვოკატია და აქამდე რუსეთს წარმოადგენდა საერთაშორისო სასამართლოში.

– მან თავისი რეპუტაცია ერთგვარი საფრთხის წინაშე დააყენა. რეალურად თქვა უარი, ყოფილიყო ეშმაკის ადვოკატი, – ამბობს საიას ხელმძღვანელი, ნიკა სიმონიშვილი.

ჰააგის სასამართლომ კი უკრაინის სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ წარმოებაში მიიღო და სხდომას ორშაბათს გამართავს.

გიგი უგულავას საქმეზე დაცვამ საკუთარი მოწმეები დაკითხა

გუშინ, 2 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ოპოზიციონერი ლიდერის, გიგი უგულავას საქმეზე სასამართლო პროცესი გაიმართა.

სხდომას არ დასწრებია თავად ბრალდებული გიგი უგულავა.

სასამართლო პროცესი დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით გაგრძელდა, კერძოდ, დაცვის მხარემ საკუთარი მოწმეები დაკითხა.

ცნობისთვის, შემთხვევა თბილისის აეროპორტში 2019 წლის 11 დეკემბერს მოხდა. გიგი უგულავას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც ძალადობას გულისხმობს. მას ძიუდოისტ ბადრი გავაშელიშვილის ცემას ედავებიან.

გიგი უგულავასთან ერთად ბრალდებული გახლდათ გავაშელიშვილის მეგობარი დავით პარკაძე, რომელსაც პოლიტიკოს გოკა გაბაშვილის ცემას ედავებოდნენ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის დამნაშავედ იქნა ცნობილი და ჯარიმა დაეკისრა.

შსს-მ მთავრობის ინფრასტრუქტურის დაზიანებისკენ მოწოდების გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტში, მიმდინარე წლის 1 მარტს, სოციალურ ქსელში ერთ-ერთი მომხმარებლის მიერ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ, ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდებას, გამოძიება დაიწყო.

როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, გამოძიების ფარგლებში დადგინდა მოწოდების ავტორის ვინაობა და ის გამოკითხვის მიზნით პოლიციის შესაბამის დანაყოფში არის დაბარებული.

„გამოძიებით დადგინდა, რომ სოციალური ქსელის მომხმარებელმა, 1989 წელს დაბადებულმა ს.ჯ-მ, სოციალურ ქსელში მოქალაქეებს თბილისში, ინგოროყვას ქუჩაზე მთავრობის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულზე ინფრასტრუქტურის დაზიანებისკენ საჯაროდ მოუწოდა.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე პრიმა მუხლით დაიწყო, გამოძიების ფარგლებში დადგინდა მოწოდების ავტორის ვინაობა და ის გამოკითხვის მიზნით პოლიციის შესაბამის დანაყოფში არის დაბარებული.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყება, მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, პოლიტიკურ ლიდერებს, შეკრებისა და მანიფესტაციების ორგანიზატორებს და მონაწილეებს, დაიცვან მართლწესრიგი და დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს.

კანონდარღვევის ნებისმიერი ფაქტი პოლიციის მხრიდან მყისიერად იქნება აღკვეთილი და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

რუსთავში მამაკაცმა ბავშვის სკუტერი და ხალიჩები მოიპარა

რუსთავში, ახმეტელის ქუჩაზე, ბავშვის სკუტერი და ხალიჩები მოიპარეს.

ამის შესახებ „ინფო რუსთავის“ ღია ჯგუფში სოციალური ქსელის მომხმარებელი წერს.

„მეგობრებო, სადარბაზოდან მომპარეს ბავშვის ვარდისფერი სკუტერი და ხალიჩები. ბავშვი ტირის და თავის სკუტერს ითხოვს. პირი, რომელმაც ეს იკადრა, მამაკაცია და სახეც აშკარად ჩანს კამერაში. საკმარისია, ჩანაწერი მივიტანო საპატრულოში და მისი იდენტიფიცირება მოხდება.

სანამ ვიდეოს ავტვირთავ საჯაროდ და გამოვაჭენებ შენს სახეს, მოიტანე და დააბრუნე მოპარული ნივთები თავის ადგილას“ – წერს სოციალური ქსელის მომხმარებელი.

მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს თამთა დემურიშვილი უხელმძღვანელებს

მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს თამთა დემურიშვილი უხელმძღვანელებს.

ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

„ცენტრის ახალი დირექტორი რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით არაერთი ახალი პროექტის დაწყებას გეგმავს, რაც უწყების საქმიანობას კიდევ უფრო ეფექტურს გახდის“ – აღნიშნავენ უწყებაში.



თამთა დემურიშვილი 2014 წლიდან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა; იმავე პოზიციაზე 2018 წლიდან სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში დაინიშნა; 2004 წლიდან 2007 წლამდე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი იყო და ამავე უწყებაში მინისტრის უფროსი მრჩევლის თანამდებობა ეკავა.

თამთა დემურიშვილი მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას უკვე შეუდგა.

ახალი ხელმძღვანელი თანამშრომლებს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, ბუბა ლომუაშვილმა წარუდგინა.

ქუთაისის მერიას მამაკაცმა მინები ჩაუმსხვრია

ქუთაისის მერიის შენობის შესასვლელში მოქალაქემ მინები ჩაამსხვრია.

ადგილობრივების თქმით, უცნობმა მამაკაცმა უკრაინის ომთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის განცხადებები გააპროტესტა და მერიის შენობას ქვები ესროლა.

სამართალდამცველებმა მამაკაცი დააკავეს.

უკრაინის ევროკავშირში სწრაფ გაწევრიანებას ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა

1 მარტს უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანების სწრაფ გეგმას მხარი ევროპარლამენტის 676-დან 637-მა წევრმა დაუჭირა. 13-მა უარი თქვა, 26-მა კი თავი შეიკავა.

მანამდე კი ბრიუსელში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე დებატები გაიმართა, სადაც ევროპელმა დეპუტატებმა ღიად და ხისტად ისაუბრეს რუსულ ოკუპაციაზე და უკრაინის მხარდასაჭერად მტკიცე და ერთიან პოზიციას გამოხატავდნენ.

ისტორიული სხდომა კი ზელენსკის ამაღელვებელი მიმართვით დაიწყო, რასაც ოვაციები მოჰყვა. დაამტკიცეთ, რომ ჩვენ გვერდით ხართ – ზელენსკის ეს სიტყვები რუსული გამანადგურებლების ფონზე ისმოდა, რომლებიც ისევ დასახლებულ პუნქტებს ბომბავდნენ.

კენჭისყრამდე ცოტა ხნით ადრე, ევროპარლამენტის შენობასთან შეკრებილ უკრაინელებს საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ, რობერტა მეცოლამ, მიმართა და მათ მხარდაჭერა აღუთქვა, რის შემდეგაც უკრაინის ჰიმნმა გაიჟღერა.

ხადარკოვსკი: „რუსებო, გამოდით პუტინის წინააღმდეგ ქუჩებში!“

პუტინის ყოფილი პატიმარი და ოპონენტი მიხეილ ხადარკოვსკი რუსეთის მოქალაქეებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს.

მისი თქმით, მოსახლეობამ უკრაინელი ხალხის ხოცვა უნდა გააპროტესტოს და პუტინის ახირება დაგმოს.

– პუტინი თავის თავს ვერ ერევა, პუტინი უკრაინაში ჩავარდა, ამიტომ ყველაფერზე მიდის. ყველას იყენებს: პოლიციას, ომონს და ა.შ. თითოეული ადამიანი, რომელიც ახლა რუსეთის ქალაქების ქუჩებში გამოდის, თითოეული, ვინც კი პროტესტით გამოდის, იგი პუტინის გარკვეული ძალების ნაწილს განაიარაღებს და ხელს უშლის უკრაინელების მკვლელობაში, თქვენი გამოსვლა ნამდვილად იმის საშუალებაა, რომ ერთი მშვიდობიანი ადამიანი არ მოაკვლევინოთ. გამოდით ქუჩებში!

მე ათ წელზე მეტხანს ვიჯექი ციხეში, ვიცავდი იმას, რასაც მართებულად მივიჩნევდი. თუკი თქვენ მიიჩნევთ, რომ მეზობელი ქვეყნის მოქალაქეებს არ უნდა კლავდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ტიპს ასე მოეპრიანა, შეეწინააღმდეგეთ. დღეს ქუჩაში გამოსვლა ადამიანების მკვლელობისთვის წინააღმდეგობის გაწევის ტოლფასია, – განაცხადა ხადარკოვსკიმ.

ნავალნი: „ვიბრძოლოთ ომის წინააღმდეგ!“

– თუ ომის შესაჩერებლად ციხეებში პატიმრების გადასაყვანი საავტომობილო ეკიპაჟები ჩვენი თავებით უნდა ავავსოთ, ჩვენ მათ ავავსებთ.

ამის შესახებ პატიმრობაში მყოფი კრემლის კრიტიკოსი, ალექსეი ნავალნი „ტვიტერზე“ წერს.

„ყველაფერს აქვს ფასი და ახლა, 2022 წლის გაზაფხულზე, ეს ფასი უნდა გადავიხადოთ. არავინ არ გააკეთებს ამას ჩვენთვის. მოდით, ვიყოთ არა მხოლოდ ომის წინააღმდეგი, არამედ ვიბრძოლოთ კიდეც ომის წინააღმდეგ“ – აცხადებს ნავალნი.

ნავალნიმ მოქალაქეებს რუსეთსა და ბელარუსში საპროტესტო აქციების გამართვისა და უკრაინაში რუსეთის შეჭრის დაგმობისკენ მოუწოდა.

„მეტს ველარ მოვიცდით, სადაც არ უნდა იყოთ, რუსეთში, ბელარუსში თუ პლანეტის მეორე მხარეს, წადით თქვენი ქალაქის მთავარ მოედანზე ყოველ სამუშაო დღეს და ყოველდღე, 14:00 საათზე შაბათ-კვირასა და დასვენების დღეებში“ – ნათქვამია ალექსეი ნავალნის განცხადებაში.

კრემლს უკრაინის პრეზიდენტად იანუკოვიჩის გამოცხადება უნდა

სახელმწიფო ღალატისთვის მსჯავრდებული ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ახლა მინსკში იმყოფება და რუსეთს სურს, ის უკრაინის პრეზიდენტად გამოაცხადოს.

ამის შესახებ „უკრაინსკაია პრავდა“ უკრაინის დაზვერვის წყაროებზე დაყრდნობით წერს.

„მიღებული ინფორმაცია მიუთითებს კრემლის მიერ რაიმე სახის საინფორმაციო ოპერაციის ან ქმედების შესაძლო მომზადებაზე, ყოფილი პრეზიდენტის იანუკოვიჩის უკრაინაში დაბრუნების ან უახლოეს მომავალში მისი სახელით უკრაინელი ხალხისადმი მიმართვის გამოქვეყნების შესახებ“ – წერს გამოცემა.

უკრაინაში იანუკოვიჩის წინააღმდეგ არაერთი საქმეა აღძრული. ის უკვე ნასამართლევია სამშობლოს ღალატისთვის და დაუსწრებლად მისჯილი აქვს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აშშ-მ რუსეთს საჰაერო სივრცე ჩაუკეტა

აშშ-მ რუსეთს საჰაერო სივრცე ჩაუკეტა. ამის შესახებ პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა კონგრესის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს გარემოება რუსეთს კიდევ უფრო მეტ იზოლაციაში მოაქცევს.

– მე ვაცხადებ, რომ ჩვენ ვუერთდებით ჩვენს მოკავშირეებს და ვხურავთ ამერიკის საჰაერო სივრცეს ყველა რუსული ავიაკომპანიისა და ფრენებისთვის, ეს კიდევ უფრო იზოლირებულს გახდის რუსეთს. პუტინს წარმოდგენა არ აქვს იმაზე, რაც ელის. რუბლმა უკვე დაკარგა 30% ღირებულებისა, რუსეთის საფონდო ბირჟამ კი 40%, ხოლო ვაჭრობა კვლავ შეჩერებულია, – თქვა ჯო ბაიდენმა.

ჰაკერებმა „როსკოსმოსის“ სატელიტური მართვის სისტემა გატეხეს

ანონიმუსის ჰაკერების ჯგუფმა „როსკოსმოსის“ სატელიტური მართვის სისტემა გატეხა. ამის შესახებ განცხადება ჰაკერების დაჯგუფებამ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ რუსეთი აღარ აკონტროლებს საკუთარ ჯაშუშურ თანამგზავრებს.

მანამდე ანონიმუსმა რუსეთის მთავარი დეპარტამენტების ოფიციალური ვებგვერდები გატეხა, მათ შორის კრემლის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს საიტები.

გაერო: ომის დაწყებიდან უკრაინაში 136 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, მათ შორის, 13 ბავშვი

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აცხადებს, რომ გასულ ხუთშაბათს, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, სულ მცირე 136 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, მათ შორის, 13 ბავშვი.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სპიკერმა აღნიშნა, რომ დაღუპულთა რეალური რიცხვი, სავარაუდოდ, ბევრად მეტია. მისი თქმით, გარდაცვლილთა უმეტესობა მძიმე არტილერიის დაბომბვის, საჰაერო თავდასხმების და სხვა შეტევების შედეგად დაიღუპა.

გაეროს ცნობით, ამ დროისთვის დაშავებულია 400-მდე ადამიანი.

უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით, უნიანი წერს, რომ 28 თებერვლის მონაცემებით, ომის დაწყებიდან დაღუპულია 352 ადამიანი, მათ შორის, 16 ბავშვი. დაშავდა 2.040 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, 45 ბავშვი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სამართალი

იუსტიციის მინისტრის მოადგილედ ერეკლე ღვინიანიძე დაინიშნა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე ერეკლე ღვინიანიძე დაინიშნა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ერეკლე ღვინიანიძე აღსრულების ეროვნულ ბიუროს 2021 წლის აპრილიდან ხელმძღვანელობს.

„დღემდე მან უწყებაში არაერთი რეფორმა განახორციელა – შეიქმნა ციფრული არქივი; დაიწყო მუშაობა გამარტივებული საქმისწარმოების პლატფორმაზე, სააღსრულებო წარმოების ციფრულ პროგრამაზე. ამ პროექტების დასრულების შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო საქმიანობაში სრულად ციფრულ მმართველობას დანერგავს“ – აღნიშნულია იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციაში.

„ბოლოს ლილოში ნახეს“

თბილისში 25 წლის ოთოს ეძებენ

თბილისში 25 წლის მამაკაცს ეძებენ. როგორც დაკარგულის და აცხადებს, ბოლოს ბიჭი ლილოს დასახლებაში შენიშნეს.

– დაიკარგა ჩემი ძმა ოთო, 25 წლის. არის შშმ პირი. 1 მარტს საღამოს, დაახლოებით საღამოს 8 საათიდან ცხრის ნახევრამდე პერიოდში, სახლიდან გამოვიდა და დაიძრა, დიდი ვარაუდით, პატარძეულიდან თბილისის მიმართულებით. აცვია შავი ქურთუკი და ღია ფერის ჯინსი. ბოლო კვალი ლილოს დასახლებაში იკვეთება, – აცხადებს დაკარგულის და.

ნებისმიერი ინფორმაციის ქონის შემთხვევაში დარეკეთ ნომერზე – 595913272.

სპორტი

კევინ კელეჰერი: „პენალტის დარტყმას სხვა კუთხეში ვაპირებდი“



ინგლისის ლიგის, იგივე კარაბაოს თასის ფინალი მართლაც საოცარი სანახაობა გამოდგა. ბრძოლა, სახიფათო მომენტები, 4 არჩათვლილი გოლი თამაშგარეების გამო. ლივერპულმა და ჩელსიმ მაყურებელს სწორედ ის შესთავაზეს, რისთვისაც ფეხბურთი უყვართ.

არადა, თამაში 0:0 დასრულდა. ამის მიუხედავად, ბრიტანულმა მედიამ ყველაზე დასამახსოვრებელ ფინალად შერაცხა.

ბოლოს მატჩისშემდგომი თერთმეტმეტრიანების სერია, რომელიც ლივერპულმა 11:10 მოიგო. გამარჯვების გოლი კი 23 წლის ირლანდიელმა მეკარემ, კევინ კელეჰერმა გაიტანა, რომლის გამოჩენაც სასტარტო შემადგენლობაში ცოტა მოულოდნელი იყო.

ახლა ის გმირია, რომელიც 14 წლამდე თურმე თავის ბავშვთა გუნდში, კორკ სქულბოიზში, ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა და მხოლოდ მამის ჩარევის შემდეგ გახდა მეკარე.

კელეჰერის ინტერვიუ ლივერპულის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

– გამარჯვების პენალტი გაიტანე. რას გრძნობ ახლა?

– ძნელი სათქმელია. ყველაფერთან ერთად გამარჯვებისგან სასიამოვნოდ გოგნებული ვარ. „უემბლიზე“ მოგება ჩვენი გულშემატკივრების თვალწინ, ეს რაღაც განსაკუთრებულია.

პენალტების სერიის შემდეგ ვიღაცამ მითხრა: შენ მთავარი გოლი გაიტანეო. მაგრამ მე ის უფრო მაწუხებდა, რომ მოწინააღმდეგის ვერც ერთი თერთმეტმეტრიანი მოვიგერიე. მადლობა ღმერთს, გავიტანე და ჩვენ გავიმარჯვეთ!

– როცა ფინალის წინ იძინებდი, იფიქრებდი, რომ ყველაფერი ასე განვითარდებოდა?

– ფინალის წინა ღამეს კარგზე ვოცნებობდი. მინდოდა გაგვემარჯვებინა, მაგრამ ალბათ ყველაზე გაბედულ სიზმარშიც ვერ ვნახავდი, რომ პენალტს გავიტანდი. თანაც, გამარჯვების პენალტს.

– როცა პენალტის ნიშნულთან მიხვედი, იცოდი, როგორ უნდა მოქცეულიყავი?

– სიმართლე გითხრათ, სხვა კუთხეში ვაპირებდი დარტყმას. მაგრამ როცა გამოვექანე, თვალი მოვკარი, რომ კეპა სწორედ იმ კუთხისკენ იხრებოდა. ამიტომ ბოლო წამს შევცვალე გადაწყვეტილება. ასე ზევითაც არ მინდოდა დარტყმა.

– გვითხარი, რაში და როგორ გეხმარებიან გუნდის მეკარე ალისონი და მწვრთნელი ჯონ ახტერბერი?

– ჯონმა ჩემზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. ეტყობა, თავიდანვე დაინახა დიდი პოტენციალი და ყოველთვის მეხმარებოდა. პირველი დღიდანვე ბევრს მუშაობდა ჩემთან და ამისათვის დიდი მადლობა მაქვს სათქმელი. ალისონი კი, უბრალოდ, განუმეორებელია.

ბოლოსკენ ჩელსიმ მეკარე შეცვალა, მენდის ნაცვლად კეპა გამოიყვანა. მე კი დავრჩი, მწვრთნელებმა ასე გადაწყვიტეს. ალისონს არც უფიქრია, სწყენოდა ან რაღაც ამგვარი. მთლიანად თამაშზე იყო კონცენტრირებული.

– მატჩის განმავლობაში რამდენიმე ურთულესი ბურთი მოიგერიე. მაგრამ ბოლოს ლუკაკუს დარტყმული...

– სიმართლე გითხრათ, არ მოველოდი, თუ დაარტყამდა. საბედნიეროდ, ბურთი ფეხზე მომხვდა. უბედნიერესი ვარ, რომ რამდენიმე ძნელი ბურთი მოვიგერიე და გავიმარჯვეთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ოქროს ბურთი და ქართველები

„ოქროს ბურთი“ – ჯილდო, რომელიც 1956 წელს შეიქმნა, ერთ-ერთი პოპულარულია, რაც შეიძლება ფეხბურთელმა საფეხბურთო სამყაროში დაიმსახუროს.

ჯილდო ფრანგული ჟურნალის, ფრანს ფუტბოლის მიერ არის დაარსებული და მხოლოდ 6 წლის განმავლობაში (2010-16) იყო ფიფასთან შეერთებული.

ამ დროის მანძილზე „ოქროს ბურთი“ სხვადასხვა წესებსა და ნიუანსებს ცვლიდა, რათა ვარსკვლავებისთვის უფრო მიმზიდველი და სასურველი გამხდარიყო.

თავდაპირველად ჯილდო მხოლოდ ევროპაში მოთამაშე ევროპელ ფეხბურთელებს გადაეცემოდათ, შემდეგ პრიზის მიღება ევროპაში მოთამაშე ყველა ფეხბურთელს შეეძლო და წარმომავლობაზე აქცენტი აღარ კეთდებოდა.

ხმის მიცემის უფლება ავტორიტეტული სპორტული გამოცემების სპორტულ ჟურნალისტებს შეუძლიათ. ეროვნული ნაკრებების კაპიტნებისა და მთავარი მწვრთნელების აზრიც გათვალისწინებულია.

წესებთან ერთად იცვლებოდა ჯილდოს ვიზუალი, წონა და, შესაბამისად, ღირებულება. დღეს, ოქროს ბურთს ძალიან ზუსტი მახასიათებლები აქვს – 28 სანტიმეტრი, 22 სმ დიამეტრი და 12 კილოგრამი.

საინტერესოა, რომ „ოქროს ბურთი“ სუფთა ოქრო არ არის და გამოყენებულია სპილენძის ფირფიტები, რომელიც ბურთს აძლევს იმ ვიზუალს, რომლითაც წარმოდგენილი დღესაა.

ჯილდოს ღირებული 3.000 ევროს ოდნავ აღემატება.

ოქროს ბურთის პირველი გამარჯვებული სტენლი მეტიუზია. შესაძლოა, ეს სახელი კარგად მოგეხსენებოდეთ ან სულაც, პირველად იგებდეთ. ინგლისელი გარემარბი, ინგლისური ფეხბურთის გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობია – 1934-57 წლებში ინგლისის ნაკრებში 63 შეხვედრა ჩაატარა და 30 გოლი გაიტანა.

საკლუბო კარიერის მხრივ, მეთიუზი მხოლოდ 2 გუნდის, სტოკ სიტის და ბლექპულის რიგებში გამოდიოდა.

1956 წელს, როდესაც ფრანს ფუტბოლმა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის პირველი ოქროს ბურთი დააწესა, ჯილდოს პირველი გამარჯვებული სწორედ სტენლი მეთიუზი გახდა. ფეხბურთელი მაშინ, არც მეტი, არც ნაკლები, 41 წლის გახლდათ და მის ერთადერთ მონაგარს ინგლისის ასოციაციის თასზე მოპოვებული ვერცხლის მედალი წარმოადგენდა.

საინტერესოა, რომ მაშინ მეთიუზი ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელიც პროფესიული კარიერის დასრულებამდე რაინდად აკურთხეს.

თანამედროვე რეალობაში რთულად დასაჯერებელია, რომ იყო დრო, როდესაც ქართველი ფეხბურთელები „ოქროს ბურთის“ ნომინაციაზე წარდგენილნი იყვნენ.

სხვადასხვა წლებში აღნიშნულ ჯილდოზე წარდგენილი სულ 6 ქართველი იყო. პირველად, ოქროს ბურთის დაარსებიდან მე-6 წელს – ლეგენდარულმა დინამოელმა მიხეილ მესხმა 4 ხმა მიიღო (17-22 ადგილი), ხოლო მისივე თანაგუნდელმა სლავა მეტრეველმა – 3 ხმა (23-27 ადგილი).

მეტრეველი დინამოში 1963 წლიდან 1971 წლამდე ასპარეზობდა, ჩაატარა 259 მატჩი და გაიტანა 73 გოლი. ის ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც მონაწილეობა 3 მსოფლიო თასზე მიიღო (1962, 1966, 1970) და ამავდროულად პირველი, ვინც ფიფას მსოფლიო ნაკრებში ითამაშა (1968 წელს, ბრაზილიის წინააღმდეგ).

1965 წელს, ოქროს ბურთის ნომინანტთა სიაში კვლავ სლავა მეტრეველი მოხვდა – 2 ხმა (17-24 ადგილი).

საქართველოს სუპერთასი 2019 წლიდან სწორედ სლავა მეტრეველის სახელს ატარებს.

საუკეთესოთა სიაში საკუთარი ადგილი მურთაზ ხურცილავამაც იპოვა, რომელსაც 1968 წელს მხოლოდ 1 ხმა ჰქონდა (24-32 ადგილი), ხოლო 1972 წელს – 3 ხმა (11-14 ადგილი). აღსანიშნავია, რომ მურთაზ ხურცილავა, სლავა მეტრეველთან ერთად, მე-2 ფეხბურთელია, რომელიც „ოქროს ბურთის“ ლაურეატებში 2-ჯერ მოხვდა.

1981 წელს ქართულ ექვსეულში საუკეთესო შედეგი რამაზ შენგელიამ აჩვენა, რომელმაც 10 ხმით მე-7 ადგილი დაიკავა და შესანიშნავი მიღწევის ავტორი გახდა.

საერთოდაც, შენგელიასთვის 1981 ბრწყინვალე წელი იყო. ცხადია, მისი წარმატება გარკვეულწილად, თასების მფლობელთა თასს უკავშირდება.

ამავე წელს, რამაზ შენგელიას 1 პოზიციით ჩამორჩა ალექსანდრე ჩივაძე, რომელმაც თავი 9 ქულას მოუყარა და მე-8 ადგილს დასჯერდა.

ჩივაძეზე საუბარი შორის წაგვიყვანს, რადგან ყველაფერი ისედაც ერთი შეხედვით ნათელია – საქართველოს 21-წლამდე და ეროვნული ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ქართული ფეხბურთის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა.

წარუშლელია დავით ყიფიანის კვალიც. ყიფიანი მესამეა, რომელმაც 1981 წლის სიაშია, დაიმსახურა 6 ხმა და აღნიშნული ჯილდოს ჩამონათვალში მე-11 ადგილი მიიღო.

1981 წელს დინამო თბილისმა ოქროს ბურთზე საუკეთესო შედეგი აჩვენა – ამ გუნდიდან ყველაზე მეტმა, 3-მა ფეხბურთელმა (3) მიიღო მონაწილეობა და ჩამოიტოვა მიუნხენის ბაიერნი, რომელსაც 2 წარმომადგენელი ჰყავდა.

1981 წელი სიამაყის გარდა, გულისტკენის შეგრძნებასაც ტოვებს, რადგან ამ წლის შემდეგ, ამ ნომინაციაში, არც ერთი ქართველ ფეხბურთელს მონაწილეობა აღარ მიუღია.

„ოქროს ბურთი“, როგორც პრესტიჟული ჯილდო ყველაფერი ფრანც ფუტბოლის მთავარ რედაქტორს, გაბრიელ ანოს უკავშირდება, რომლის იდეამაც ფრთები შეისხა და წლიდან წლამდე, გულშემატკივარი ერთ-ერთ ყველაზე ყურებად საფეხბურთო ცერემონიას სულმოუთქმელად ელოდება.

2020 წელს კორონავირუსის პანდემიის გამო, აღნიშნული ჯილდო გაუქმდა, მისი ბოლო გამარჯვებული, 2021 წელს, ლეო მესი იყო, რომელსაც „ოქროს ბურთი“ უკვე 7-ჯერ აქვს მოპოვებული.

შედეგები

1 მარტი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბარნლი-ლესტერი 0:2

ინგლისი. თასი

პიტერბრო-სიტი 0:2

კრ.პალასი-სტოკი 2:1

მიდსლბრო-ტოტენჰემი ..... 1:0 (დდ)

ინგლისი. ჩემპიონიგა

კარდიფი-დერბი 1:0

გერმანია. თასი

უნიონი-ზ.პაული 2:1

იტალია. თასი

მილანი-ინტერი 0:0

იტალია. სერია ბ

ბენევენტო-კრემონეზე 1:1

ბრეშა-პერუჯა 2:1

ტერნანა-პორდენონე 1:0

ალესანდრია-კომო 1:1

საფრანგეთი. თასი

ნიცა-ვერსალი 2:0

რუსებზე ფიბამაც მოკვეთა

საერთაშორისო საკალათბურთო ფედერაციამ (ფიბა) განცხადება გამოაქვეყნა, რის საფუძველზეც რუსულ გუნდებს და ოფიციალურ პირებს ეკრძალებათ ამ ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ნებისმიერ ტურნირში მონაწილეობა.

გთავაზობთ ამ განცხადებას:

– ფიბა ძალიან შეშფოთებულია უკრაინაში განვითარებული ბოლო მოვლენებით და ღრმა თანაგრძნობას გამოთქვამს დაზარალებულთა მიმართ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს რეზოლუციისა და მისი მიზეზების შესაბამისად, ფიბა-მ დღეს გამოაცხადა, რომ რუსეთის გუნდებს და ოფიციალურ პირებს არ ექნებათ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ფიბა-ს მიერ ორგანიზებულ საკალათბურთო და 3?3 კალათბურთის შეჯიბრებებში შემდგომ გაფრთხილებამდე.

ყოველ მომდევნო გადაწყვეტილებას, რომლებიც მიღებული იქნება ფიბა-ს 25 მარტის ცენტრალური საბჭოს სხდომაზე, ასევე ფიბა-ს ევროპის ზონის ორგანოების მიერ უახლოესი დღეების განმავლობაში, ფიბა დაუყოვნებლივ გაგაცნობთ.

ფიბა მკაცრად გმობს ძალადობას და იმედოვნებს, რომ მშვიდობა მალე დაისადგურებს.

აღსანიშნავია, რომ ამ სანქციების შემდეგ რუსეთი ვერ ჩამოვა 1-7 სექტემბერს თბილისში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე. შეგახსენებთ, რომ საქართველოს დედაქალაქი ევრობასკეტის ერთ-ერთი თანამასპინძელია და ჯგუფში საქართველოს, რუსეთის, ესპანეთის, თურქეთის, ბელგიისა და ბულგარეთის ნაკრებებს უნდა ეთამაშათ.

რუსეთი ვერ ითამაშებს ვერც მსოფლიო ჩემპიონატის მე-2 შესარჩევ ეტაპზე, სადაც საქართველოს ნაკრებიც გავიდა და იქაც მეტოქედ სწორედ რუსეთი ჰყავდა.

ყოველ შემთხვევაში, სანამ რამე არ შეიცვლება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. გოეთეს ტრაგედია; 2. საღებავების წარმოებაში გამოყენებული მოხარშული ზეთი; 3. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 5. ხიდის საყრდენი ბურჯი; 6. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 7. თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა შუა-საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 11. ქვევრის ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერება; 13. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 14. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 15. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 16. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ახალ ზელანდიაში; 17. დაუდუღარი ყურძნის წვენი; 19. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 20. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 1. მსხვილი მემამულე, ბატონი; 4. ვრცელი, უტყეო ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 8. სატანვარჯიშო იარაღი; 9. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 10. თეატრალური სცენის გასანათლებელი პროჟექტორი; 12. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 14. ესპანეთის კინემატოგრაფისტთა პრემია; 15. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. კომპოზიტორის ნომრით აღნიშნული ნაწარმოები; 18. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. გურულების ძველებური მოკლე ჩოხა; 22. სითხის, აირის წნევისა და ხარჯის სარეგულაციო სარქველი; 23. ინდმეწარმე სოფლად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რეზერვი; 2. ვესტფალია; 3. ჟორდანია; 4. ჰეროიკა; 5. მეტისი; 9. ბრინჯი; 11. რონდელი; 12. მიკადო; 14. კალმანი; 18. იგავი; 19. მუაში.

თარაზულად: 4. ჰამერი; 2. მალევიჩი; 6. ხომლი; 7. პროთეზი; 8. სტამბა; 10. ოდერი; 13. ვაკისი; 15. აქციზი; 16. იოდი; 17. ბაკი; 20. მარულა; 21. ქოჩარი; 22. პავიანი; 23. შუამთა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სტატია; 2. ჩხუტი; 3. რომი; 5. ბუგატი; 6. ცხუმი; 7. ბურნუთი; 11. ნესტლა; 13. არაბული; 14. პრადო; 15. კოდექსი; 16. ოპერეტა; 17. ჩაკირი; 19. აპაჩი; 20. არფა.

თარაზულად: 1. საჩხერე; 4. ბზობა; 8. მრუმე; 9. გურუ; 10. ტიტანი; 12. კნესეტი; 14. პატი; 15. კინეტიკა; 16. ოკაცე; 18. სტეკა; 21. კელია; 22. ტელფერი; 23. ჩარდაში.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2419

ევრო — 3.5975

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3182

100 რუსული რუბლი — 2.9189

ამინდის პროგნოზი 3 მარტისათვის

ანჩელოტის პსჟ-სთან მატჩისთვის განსაკუთრებული გეგმა აქვს

მადრიდის რეალის მთავარ მწვრთნელს კარლო ანჩელოტის პსჟ-სთან მატჩისთვის განსაკუთრებული გეგმა აქვს, თუმცა კონკრეტული დეტალები ამ გეგმის შესახებ ცნობილი არ არის.

თვითონ ანჩელოტიმ განაცხადა, რომ მან უკვე ზუსტად მოიფიქრა, თუ რა ტაქტიკით ითამაშებს პსჟ-ს წინააღმდეგ:

– სპეციალური გეგმა შევიმუშავე და, იმედი მაქვს, რომ ფეხბურთელები ჩემს მითითებებს ზუსტად შეასრულებენ, თუმცა, ყველაფერთან ერთად, იღბალიც საჭიროა.

დემბელემ, შესაძლოა, ბარსელონა არ დატოვოს

ბარსელონას ფორვარდმა უსმან დემბელემ, შესაძლოა, გუნდი არ დატოვოს და ბარსელონასთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს, რადგან ხავის სურს მასთან მუშაობის გაგრძელება და ბოლო მატჩებში უსმანმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

დემბელემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მან, შესაძლოა, წასვლა გადაიფიქროს და ბარსელონასთან მოლაპარაკება განაახლოს.

კლოპი: „ლივერპულის თამაშით კმაყოფილი ვარ“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ის თავისი გუნდის ბოლოდროინდელი თამაშით კმაყოფილია, თუმცა ჯერ კიდევ არის პროგრესის შესაძლებლობა, თუ გუნდი სწორ გზას არ აცდება:

– როდესაც ჩემი გუნდის თამაშს ვუყურებ, ვხვდები, რომ ეს ზუსტად ის არის, რაც მინდა, რომ ვნახო, თუმცა ყოველთვის შესაძლებელია, რომ უფრო მეტი გავაკეთოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ალექსანდრე ლორთქიფანიძე: „არავის გვინდა ომი!“

გადაცემა „წიგნების თაროს“ წამყვანი ალექსანდრე ლორთქიფანიძე ღიად აფიქსირებს, რომ ომი არ უნდა, თუმცა არც ისეთი მშვიდობა უნდა, რომელშიც გადარჩება, მაგრამ შემდეგ ეროვნების გამხელისა შერცხვება:

– სულ ისმის ეს ფრაზა „ომი გინდათ?“ პასუხი ძალიან მარტივია: არავის გვინდა ომი, საერთოდ არ გვინდა ომი, შვილები გვყავს, ოჯახები გვაქვს, როგორ ფიქრობთ, ომი გვინდა ვინმეს?!

და დიახ, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ომი თავიდან აირიდოს, უნდა მიიღოს შესაბამისი დიპლომატიური ზომები, ყველას ელაპარაკოს მსოფლიოში, რათა ომი არ გვქონდეს. მაგრამ ეს „ყველაფრის გაკეთება“ არც ერთ შემთხვევაში არ მოიაზრებს შერცხვენას. არა, არც ისეთი მშვიდობა გვინდა, რომელშიც გადავრჩებით, მაგრამ შემდეგ ჩვენი ეროვნების გამხელისა შეგვრცხვება, არ გვინდა ვინმემ გვითხრას: „უი, ქართველი ხარ? კი, კი, ვიცი საქართველო, რუსეთთან როა, უკრაინის ომისას რომ დაიმალეთ...“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 მარტისათვის

ვერძი – გრძნობების გამოვლენა სარისკოა. საღამოს საინტერესო ამბავს შეიტყობთ ან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. ** კურო** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ტყუპები** – ძლიერდება აურა, სასიცოცხლო პოტენციალი. შთაგონება გეწვევათ, რომელსაც ხორცს საკმაოდ იოლად შეასხამთ. **კირჩხიბი** – მატერიალური კუთხით პრობლემური დღეა. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. ასევე სასარგებლო იქნება მეგობრებთან კონტაქტი და ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – დაუფიქრებლობა, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაგაზარალებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **სასწორი** – პირად ცხოვრებაში შექმნილ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ. დღეს კარგად დაისვენეთ. **ღრიანკალი** – ეს დღე უთუოდ ბავშვებსა და ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ხალხმრავალ ადგილებს მაქსიმალურად ერიდეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი, თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა იზრდება. საკუთარი პოზიციების დაცვას იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. **ვერცხელი** – საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. თავს ბედნიერად გრძნობთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი ტენდენციები გრძელდება. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

– ლოთო!
– მეძავო!
– მასხარავ!
– პატივცემულო მაყურებლებო, ამით ვასრულებთ წინასაარჩევნო დებატებს დეპუტატობის კანდიდატებს შორის.

•••

ექიმი ავადმყოფს ტელეფონზე ურეკავს და ეუბნება:
– თქვენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს სათქმელი: ცუდი და ძალიან ცუდი!
– ცუდით დაიწყეთ.
– თქვენმა ანალიზებმა აჩვენა, რომ თქვენ სამი დღის სიცოცხლე დაგრჩათ!
– და ამაზე ცუდი რაღაა?
– ორი დღე ვერაფრით გიკავშირდებოდით!

•••

ცოლი სარკის წინ ტრიალებს და ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო, რომელიც კაბა ჩავიცვა? ეს თუ ეს?
ქმარი, ისე, რომ ტელევიზორისთვის თვალი არ მოუშორებია, პასუხობს:
– თითქოს ორივეს არა უშავს...
– მე მინდა, რომ გამოვიყურებოდე არა როგორც არა უშავს, არამედ შთამბეჭდავად!
– მაშინ ორივე ერთად ჩაიცვი!

•••

ექიმის სახლში კანალიზაცია გაიჭედა. გამოიძახა სანტექნიკოსი. სანტექნიკოსი მოვიდა, ერთი-ორჯერ მილს ჩაქუჩი შემოარტყა, საფენი შეცვალა, ხრახნები მოუჭირა და შემდეგ ექიმს ეუბნება:
– მზადაა, ყველაფერი მოგვარებულია, თქვენზე 50 ლარია.
– როგორ თუ 50 ლარი? ხუთი წუთის მუშაობაში? ნეიროქირურგი ვარ, თორმეტი წელი ვისწავლე, მაგრამ ხუთი წუთის მუშაობაში 50 ლარს არავინ მიხდის.
– მერე, რა გინდა, მეც არ მიხდიდნენ, როდესაც ნეიროქირურგი ვიყავი.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო, ის სცენა თუ გახსოვს ფილმიდან „ძირითადი ინსტინქტი“, სადაც შერონ სტოუნი ფეხს ფეხზე გადაიდებს?
– რა თქმა უნდა!
– აჰა, ეგ გახსოვს და შენს ცოლს დაბადების დღე რომ აქვს, დაგავიწყდა ხო?!

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
– ცხოვრებაში ერთხელ მხოლოდ ზარმაცები თხოვდებიან...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნანი ბრეგვაძე უკრაინელებს: „თქვენ ხართ გმირობის მაგალითი მთელი მსოფლიოსთვის“

მომღერალი ნანი ბრეგვაძე უკრაინელებს მიმართავს:

– ჩემო ძვირფასო და საყვარელო უკრაინელებო!

თქვენ ხართ გმირობის მაგალითი მთელი მსოფლიოსთვის, თქვენ დაგვანახეთ, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს და დავიცვათ სამშობლო აგრესორისგან.

ჩვენ ერთი საერთო მტერი გვყავს და ეს პუტინის რუსეთია. დღეს თქვენ იბრძვით ჩვენთვის და მთელი მსოფლიოსთვის.

ჩვენ, ქართველები, ვლოცულობთ თქვენთვის და თქვენთან ერთად ვართ!

დიდება უკრაინას! დიდება გმირებს!

ნინო სუხიშვილი: „ჩვენ ომმა მოგვიწია უკრაინაში ყოფნის დროს“

ანსამბლ „სუხიშვილების“ ხელმძღვანელი ნინო სუხიშვილი აცხადებს, რომ თბილისში ჯერაც არ დაბრუნებულან და ინტერნეტით ვიდეომიმართვას ავრცელებს:

– ჩვენ ომმა მოგვიწია უკრაინაში ყოფნის დროს. ჯერაც არ ვართ თბილისში ჩამოსულები. თავი შევაფარეთ პოლონეთს.

გულგრილად არ შემიძლია ლაპარაკი ომსა და იმ ყველაფერზე, რაც დღეს უკრაინაში ხდება. ეს ქვეყანა გახდა ძალიან ახლობელი ჩვენთვის. ის თეატრები, სადაც ჩვენ გამოვდიოდით, ვმართავდით კონცერტებს, დანგრეულია. ამ ხალხს სჭირდება გვერდზე დგომა და ეს ხალხი გრძნობს ამას. ეს ხალხი გრძნობს, რომ ჩვენ ისინი გვიყვარს. დიდება უკრაინას! დიდება გმირებს!

სამეფო უბნის თეატრი სპექტაკლებიდან შემოსულ თანხას უკრაინელებს გადაურიცხავს

სამეფო უბნის თეატრის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სპექტაკლებიდან შემოსული თანხა მთლიანად უკრაინელების დახმარების ფონდში გადარიცხოს:

– სამეფო უბნის თეატრის სპექტაკლებიდან შემოსული მთელი თანხა გადაირიცხება უკრაინელი ხალხის დახმარების ფონდში! ძვირფასო უკრაინელო მეგობრებო, ჩვენ თქვენს გვერდით ვართ! დიდება უკრაინას! – ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს სამეფო უბნის თეატრის დირექტორმა ნიკა თავაძემ და თეატრის მთელმა გუნდმა.

ბარბარა სამხარაძეს უკრაინის მხარდასაჭერ აქციებზე სიარულისთვის აკრიტიკებენ

„ნიჭიერის“ გამარჯვებულ მომღერალს ბარბარა სამხარაძეს უკრაინის მხარდასაჭერ აქციებზე სიარულისთვის აკრიტიკებენ:

– დიდება და გამძლეობა უკრაინას!

ძალიან ბევრი ვერსია მოვისმინე ჩემ შესახებ, რატომ მივდიოდი აქციაზე და ასე შემდეგ. არავისთვის არ ვაპირებ ახსნას, განსაკუთრებით დღევანდელი ვითარების მიხედვით, რატომ ვდგავარ რუსთაველზე უკვე მესამე დღეა უკრაინის დროშით.

მე მინდა მშვიდობა. მინდა არავის არ კლავდნენ იმის გამო, რომ სამშობლოს იცავს. მინდა ჩემი შეხედულების გამო არ მლანძღავდნენ და ფრონტის წინა ხაზზე გასვლას არ მთხოვდნენ, პატრიოტიზმის დასამტკიცებლად – პირდაპირი მნიშვნელობით.

მინდა, სანამ მტერი გაგვანადგურებს, იქამდე მაინც ვიყოთ ერთმანეთის მიმართ ლმობიერები და პატივი ვცეთ ერთმანეთის შეხედულებას. მე რაც მინდა, იმისთვის ჩემს წილს არავინ არ გააკეთებს.

სანამ საჭირო იქნება, იქამდე ვიქნები უკრაინის მხარდასაჭერად მზად!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც საჭრისი მაგრდება; 2. ქართველი თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 3. მდინარე მექსიკასა და აშშ-ში; 4. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 5. მომღერალთა გუნდი; 9. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 11. საზაფხულო ფეხსაცმელი; 12. მეფეთა, მღვდელმთავართა ძვირფასი სამოსი; 14. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 18. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 19. ოსური ცეკვა.

თარაზულად: 4. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 5. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 6. ფერადი ლითონის თხელი ფირფიტა საკვები პროდუქტების შესაფუთად; 7. უღელტეხილი კახეთში; 8. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 10. ქვანახშირის გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი; 13. თიხის, ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 15. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ის დაზვერვის ცენტრი; 16. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი; 17. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 20. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 21. ფულის ერთეული ქუვეითში; 22. მეზღვაურთა მაუდის ქურთუკი; 23. ტყავის დამუშავების ოსტატი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა